# დროშა

№ 3 მარტი 1971

619
1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ელექტრონული ბიბლიოთეკა



მექანიზატორი ლოლა არღვლიანი (ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა) ფოტო პ. ლუცენკოსი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 3 (412) მარტი, 1971 წ.

გამოცემის წელი 49-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# წინ არის ახალი მიჯნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

11599

ამ ახლო წარსულში, იმ ხანებში, როცა ჩვენს გაზეთებში საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მერვე ხუთწლედის გეგმა გამოქვეყნდა, დასავლეთში, როგორც მუდამ, ბურჟუაზიულმა პრესამ და ოფიციალურმა მიმომხილველებმა ეჭვის თვალით შეხედეს მას. „1970 წლისათვის მოხმარების სფეროში ახალი წარმატებების მიღწევის პერსპექტივა ბუნდოვანია", აღნიშნული იყო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ოფიციალურ დოკუმენტში, რომელსაც ეწოდებოდა „ახალი მიმართულებანი საბჭოთა ეკონომიკაში". ამას წერდნენ ამერიკელი მიმომხილველები 1966 წლის ივლისში. მაგრამ, როგორც მუდამ, ჩვენს არაკეთილმოსურნეებს იმედი გაუცრუვდათ. განვლილ, მერვე ხუთწლედის წლებში ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს ახალი ისტორიული გამარჯვებანი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე და ამან დიდად აამაღლა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და სოციალური მაჩვენებლების მიხედვით წარმატებით შესრულდა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა ამ პერიოდში ვითარდებოდა სწრაფი ტემპებით და უფრო ეფექტიანად, ვიდრე წინა ხუთწლედში. არსებითად დაჩქარდა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ტემპები. განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ძმობა, მათი შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კიდევ უფრო განვითარდა სოციალისტური დემოკრატია, განმტკიცდა ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება, კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის პოზიციები და ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე.

მერვე ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ აიძულა ამერიკელი მიმომხილველები უარეყოთ თავიანთი მცდარი პროგნოზი. 1970 წლის ბოლოს ამერიკელი სპეციალისტების მიერ კონგრესისათვის შედგენილ მოხსენებაში აღნიშნული იყო: „ეჭვი არ არის, რომ ხუთწლიანი გეგმა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის სფეროში წარმატებით შესრულდება". ხოლო რა ითქმის მოხმარების სფეროზე? მერვე ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო, რომ 1966-1970 წლების მანძილზე საბჭოთა ადამიანების რეალური შემოსავალი (თითო სულ მოსახლეზე) გაიზრდებოდა 30 პროცენტით. სინამდვილეში საბჭოთა ადამიანების რეალური შემოსავალი გაიზარდა 33 პროცენტით.

და აი, ამჟამად ჩვენი სამშობლო ემზადება ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად, ახალ სიმაღლეთა დასაპყრობად. „წინ არის კომუნისტური მშენებლობის ახალი მიჯნები, — განაცხადა საბჭოთა ხალხისადმი საახალწლო მისალმებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — საბჭოების ქვეყანა იწყებს მეცხრე ხუთწლედს, ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა ადამიანები მშობლიური პარტიის ყრილობას აღნიშნავენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი აღმავლობით, აღიქვამენ მის გადაწყვეტილებებს როგორც თავიანთ ღვიძლ საქმეს, მთელ ძალღონეს, ცოდნას, გამოცდილებას მოახმარენ მათს წარმატებით განხორციელებას. ლენინის ანდერძისადმი ერთგულება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ახალ დიად გამარჯვებათა საიმედო გარანტიაა".

მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ". ეს არის უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტი. საბჭოთა ეკონომიკის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, მისი განვითარების თანამედროვე დონისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გათვალისწინებით შემუშავებული პროექტი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განუხრელი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების გაშლილი პროგრამაა. მასში მკაფიოდ აისახა ლენინური გენერალური ხაზი ჩვენი პარტიისა, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს და მტკიცედ მიუძღვის მას კომუნისტური მშენებლობის გზით.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში განსაზღვრულია ქვეყნის ეკონომიური განვითარების ძირითადი მიმართულებანი, ახალი ხუთწლედის პერსპექტიული ამოცანები. ეს ამოცანები ჭეშმარიტად გრანდიოზულია. მეცხრე ხუთწლიანი გეგმა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება საბჭოთა საზოგადოების შემდგომ წინსვლაში კომუნიზმის გზით, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. „ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, — ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში, — რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების მაღალი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და შრომისნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

ხელმძღვანელობს რა ახალი ხუთწლედის ძირითადი ამოცანებით, პარტია სახავს განახორციელოს სოციალურ ღონისძიებათა ვრცელი პროგრამა: დააჩქაროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპები და უზრუნველყოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, ყოველი ღონისძიებით განავითაროს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევა და უფრო სწრაფად დანერგოს მისი შედეგები სახალხო მეურნეობაში; თანმიმდევრულად განავითაროს თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებას.

პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებას. მრეწველობის ძირითადი ამოცანა ახალ ხუთწლედში ის არის, რომ გააფართოოს და სრულყოს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ინდუსტრიული ბაზა. გათვალისწინებულია უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წარმოების ზრდის და პროპორციული განვითარების სწრაფი ტემპები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, მსუბუქ და კვების მრეწველობაში, მნიშვნელოვნად ავამაღლოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ეფექტიანობა. ხუთწლეულში ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 37-40 პროცენტით, ამასთან მისი მატების სულ ცოტა 80 პროცენტი მიღებული იქნება შრომისნაყოფიერების გადიდების გზით.

ინდუსტრიის ყველა დარგის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების ინტერესებს. დასახულია მოხმარების საქონლის, ნედლეულის, მათი გამოშვებისათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობის მწარმოებელი მრეწველობის უფრო სწრაფი განვითარება და მისი ხვედრითი წონის გადიდება. სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხუთწლეულში უნდა გაიზარდოს 42-46 პროცენტით, მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოება — 41-45 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნებისა — 44-48 პროცენტით.

გვაოცებს იმ სიმაღლეების წარმოდგენა, რომლებსაც მიაღწიეს მრეწველობის სხვადასხვა დარგებმა. დაგეგმილია ელექტროენერგიის წარმოება გავადიდოთ 1.030 — 1.070 მილიარდ კილოვატსაათამდე, ნავთობის მოპოვება — 480-500 მილიონ ტონამდე, გაზისა — 300-320 მილიონ ტონამდე, ფოლადის გამოდნობა — 142-150 მილიონ ტონამდე, ნავთობის გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაიზრდება 1,5-ჯერ, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობისა — 1,7-ჯერ. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ხაზით პროდუქციის გამოშვება გადიდდება 1,7-ჯერ, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლისა — 2,2-ჯერ. გათვალისწინებულია მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, თევზის, ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და მრეწველობის სხვა დარგების წარმოების სწრაფი აღმავლობა.

პარტიამ შეიმუშავა და წარმატებით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდის ფართო პროგრამას. ახალ ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით 20-22 პროცენ-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ტით უნდა გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო-წლიური მოცულობა, უზრუნველვყოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილება კვების პროდუქტებზე, მრეწველობისა კი ნედლეულზე. ამ ამოცანის შესრულების გადამწყვეტი პირობაა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, მისი ინტენსიფიკაციის კურსის თანმიმდევრული განხორციელება.

ჩვენი პარტიის საქმიანობაში პირველ პლანზე მუდამ არის მისი საპროგრამო მიზანი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის"; ამ მაღალი მიზნით გამსჭვალულია ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტიც. გათვალისწინებულია ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის ცხოვრების დონის ახალ, არსებით ამაღლებას. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გაიზრდება დაახლოებით 30 პროცენტით, მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი გადიდდება 20-22 პროცენტით, კოლმეურნეების შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში — საშუალოდ 30-35 პროცენტით. დასახულია მინიმალური ხელფასის შემდგომი გადიდება. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები გაიზრდება 40 პროცენტით. ეს სახსრები მოხმარდება ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას, სახალხო განათლების განვითარებას, კადრების მომზადებას და ბავშვთა აღზრდას, მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა პენსიების, მოსწავლეთა სტიპენდიების გადიდებას.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს სასაქონლო რესურსების გადიდება, საჭირო ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი საქონლით ბაზრის უფრო სრული მომარაგება, მოსახლეობის მომსახურების მოცულობის გაფართოება. პროექტი ითვალისწინებს სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას, ცალკეულ სახეობათა საქონლის ფასების შემცირებას სასაქონლო რესურსების დაგროვების კვალობაზე. მოსახლეობის შემოსავლის ზრდისა და მოხმარების საგნების წარმოების გაფართოების შესაბამისად საცალო საქონელბრუნვა გადიდდება 1,4-ჯერ.

პარტია თანმიმდევრულად და დაუცხრომლად ზრუნავს მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. ახალ ხუთწლედში დაგეგმილია დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე ავაშენოთ 565-575 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები ნაცვლად გასული ხუთწლეულის 518 მილიონისა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებითად მიმდინარეობს საბინაო ფონდის განახლების პროცესი და იმ ას მილიონზე მეტ საბჭოთა ადამიანს, რომლებმაც ახალმოსახლეობა იდღესასწაულეს ამ ბოლო ათწლეულში, შეემატება კიდევ ათეულ მილიონობით მოქალაქე.

კომუნიზმის წარმატებით მშენებლობა, სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება კომუნისტურ პარტიას, მთელ ჩვენ ხალხს მიაჩნიათ თავის უმნიშვნელოვანეს ინტერნაციონალურ მოვალეობად. საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველნაირად სრულყოფს და გააფართოებს ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ კავშირს სოციალისტურ ქვეყნებთან თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეურნეობათა ეკონომიური ინტეგრაციის თანმიმდევრული მიმართულებით. ჩვენ განვავითარებთ მყარ ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ კავშირს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებთან. კიდევ უფრო განვითარდება ეკონომიურად გამართლებული საგარეო-სავაჭრო და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობა მრეწველობის მხრივ განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა ხუთ წელიწადში გადიდდება 33-35 პროცენტით.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას, აღნიშნულია დირექტივების პროექტში, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნება. საბჭოთა ეკონომიკის ზრდა ხელს შეუწყობს მსოფლიოს სოციალისტური თანამეგობრობის ძალების შემდგომ განმტკიცებას, კვლავ ცხადყოფს მეურნეობის გეგმიანი სოციალისტური სისტემის უპირატესობებს. ხუთწლედის შესრულებით საბჭოთა ხალხი ღირსეულ წვლილს შეიტანს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირებაში.

საბჭოთა ქვეყნის შესანიშნავი წარმატებანი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ყველაფერი, რითაც ამაყობს საბჭოთა ხალხი, რაც პლანეტის მშრომელთა აღტაცებას იწვევს, მიღწეულია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის მეოხებით, რომელიც მტკიცედ ადგას ლენინურ კურსს, შემოქმედებითად ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებით. როგორც საზოგადოების შეგნებული, მაორგანიზებელი ავანგარდი, პარტია მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელთა უფართოეს მასებთან, იგი ორგანიზებულ და გეგმაზომიერ ხასიათს ანიჭებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის მთელ მუშაობას.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის პროექტში ვკითხულობთ:

„საქართველოს სს რესპუბლიკაში გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 39-42 პროცენტით, ამასთან უფრო სწრაფი ტემპებით განვავითაროთ მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის არალითონტევადი დარგები.

უზრუნველვყოთ ელექტროენერგიის წარმოების გადიდება 1,7-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 2,3-ჯერ, ქიმიური ბოჭკოებისა — 1,6-ჯერ, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებებისა — 3,4-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — 2,1-ჯერ, შიფერისა — 2-ჯერ, შალის ქსოვილებისა—1,5-ჯერ, ხილ-ბოსტნეულის კონსერვებისა — 1,4-ჯერ და ავეჯისა — 2-ჯერ.

ავამოქმედოთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეები და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პირველი ელექტროსადგური, დავიწყოთ ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა, დავამთავროთ მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. ავაშენოთ ფაიფურ-ქაშანურის ქარხანა, გავადიდოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეები". აქვე დასახულია ახალი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ჩაის, ყურძნის, თამბაქოს და ციტრუსოვანთა წარმოების ზრდასა და გაფართოებას. საბჭოთა საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მხურვალედ იწონებენ ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტს და ერთსულოვნად აცხადებენ რომ მზად არიან მთელი ენერგიით, მთელი გატაცებით იღვწოდნენ სამშობლოს ძლიერების კიდევ უფრო განსამტკიცებლად; პროექტის განხილვაში მონაწილეობას იღებენ მუშები, კოლმეურნეები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, კომუნისტები და უპარტიოები, და ყოველი მათგანი გამოთქვამს თავის ღრმა აღტაცებას და მადლობის გრძნობას ლენინური პარტიისადმი, რომელსაც განუხრელად მიჰყავს ჩვენი ქვეყანა წინ, ახალი ისტორიული გამარჯვებებისაკენ.

უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას ჩვენი პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წინაშე. ჩვენმა ბეჭდვითმა სიტყვამ აქ კვლავაც უნდა შეასრულოს თავისი ქმედითი როლი — მის ფურცლებზე უფრო ფართოდ და უფრო მძლავრად უნდა გაისმოდეს წარმოების ნოვატორთა, სპეციალისტთა, მეცნიერთა, კულტურის მუშაკთა სიტყვა, უნდა ვაჩვენოთ როგორ მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება ახალ ამოცანათა განსახორციელებლად. ჩვენ უნდა მოვუთხროთ იმ დიდ პატრიოტულ გაქანებაზე, რომელიც შთააგონებს ჩვენს ადამიანებს წარმატებით აიღონ ახალი მიჯნები კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. ჩვენი მთავარი თემა იყო და არის კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის კეთილშობილური შრომა და ცხოვრება; „სოციალიზმი — ცოცხალი, შემოქმედებითია, თვით ხალხის მასების ქმნილებაა", გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი. ჩვენი პრესა იყო და არის მასების ამ დიადი შემოქმედებითი შრომის მატიანე, იყო და არის დამრაზმველი და შთამაგონებელი საბჭოთა ხალხისა, რომელმაც შექმნა კაცობრიობის ისტორიის ახალი ეპოქა.

გულდაჯერებით დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ 1971 წელი, პირველი წელი მეცხრე ხუთწლედისა; ახალი ხუთწლეულის შთამაგონებელმა მიზნებმა და ამოცანებმა ხალხის შემოქმედებითი ძალების ახალი მოზღვავება გამოიწვია; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებამ, ჩვენი ხალხის ერთსულოვნებამ კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ ყოველი ხუთწლედი მთელი საბჭოთა ხალხის ღვიძლი საქმეა, მისი შრომისა და გონების, თაოსნობისა და დაუშრეტელი ენერგიის საქმეა. ყოველი ჩვენი ხუთწლედი — ისტორიული ნიშანსვეტი იყო კაცობრიობის ახალი ისტორიის დიად გზაზე, ასეთია ჩვენი ახალი, მეცხრე ხუთწლედიც, რომლის განხორციელება უკვე დაიწყო კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე.

# სიტყვა ჩემს დებს



ჩემო ძვირფასო დებო, სადაც უნდა იყოთ, სადაც უნდა შრომობდეთ, სოფლად თუ ქალაქად, მინდა ყველას მოგილოცოთ ჩვენი დღესასწაული — ქალთა საერთაშორისო დღე. წელს ეს დღე განსაკუთრებულ ვითარებაში აღინიშნება: ჩვენ ვემზადებით დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის ორმოცდაათი წლისთავის აღნიშვნისათვის. რამდენი რამ მოუტანა ამ ნახევარმა საუკუნემ ჩვენს საყვარელ სამშობლოს, როგორ გარდაქმნა იგი, რამდენი რამ მოგვიტანა ჩვენ, მშრომელ ქალებს!

ჩვენ, ჩემო საყვარელო დებო, სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ ეს აყვავებული, დამშვენებული სამშობლო აშენებულია ჩვენი ხელითაც, ჩვენი გარჯითა და შრომით, რომ ჩვენ მუდამ მხარში ვედექით მამაკაცებს, როგორც თანასწორუფლებიანი მოქალაქენი, მშენებელნი ახალი ყოფისა, ახალი ცხოვრებისა, ახალი კულტურისა.

მე ჩვენს ნათელ დროში დავიბადე და გავიზარდე, და მხოლოდ წიგნებიდან, თუ უფროსების ნაამბობიდან ვიცი, თუ როგორი იყო ძველად ქალის ბედი; როგორც ქართველ, ისე უცხოელ მწერლებს რამდენჯერ აუწერიათ ის ჯოჯოხეთი, რომელიც მშრომელი ქალის წილ-ხვედრად აქციეს ფეოდალურმა და კაპიტალისტურმა ეპოქებმა.

მაგრამ უფრო მძიმე დღეში იყო აჭარელი ქალი. ამას წინათ მე წავიკითხე ჩვენი დაუვიწყარი ხაიდარ აბაშიძის წიგნი — „წერილები". მასში ასეთ სტრიქონებს წავაწყდი:

„რამდენადაც მეტს დავფიქრდები საცოდავ ჩემს დებზე — აჭარელ ქალებზე, იმდენად გული მიდუღს და სული მიშფოთავს. ბევრჯერ მითქვამს, განა ჩვენი სიცოცხლე სიცოცხლეა და ჩვენც ადამიანები ვართ? ვხედავ ჩვენი პიროვნების დამცირებას, ჩვენს არარაობას, რაიცა იწვევს სულის ქეჯნას და ცრემლებს. საყოველთაოდ, მთელ დედამიწის ზურგზე თვით უგანათლებულეს ქვეყნებშიც კი, ქალები რომ დაჩაგრული არიან მამაკაცებთან შედარებით, ეს ვიცით, მაგრამ ჩვენი მუსლიმანი ქალების მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელია. ჩვენ მოწყვეტილნი ვართ ცხოვრებას და მოკლებულნი ვართ თვით მზის სინათლესაც კი. ცხოვრებისა და ბუნების კანონები ჩვენთვის თითქოს არ არსებობენ".

იმავე წიგნში ავტორი ასე გადმოგვცემდა აჭარელი ქალის გულისნადებს:

„განა ჩვენ ადამიანები არა ვართ? განა ჩვენში ადამიანური გრძნობა არ სუფევს ისე, როგორც მამაკაცებში? განა ჩვენ გაჩენილი ვართ მხოლოდ მამაკაცების მონებად? არა, ჩვენ მამაკაცების მონებად კი არა, დედებად და მეუღლეებად ვართ გაჩენილი... ჩვენ, ქალები მამაკაცების მონები და მათი ფეხქვეშ სათელი კი არა, მათი ცხოვრების შეგნებული და სწორუფლებიანი თანამგზავრები უნდა ვიყოთ. ჩვენი დამცირების, დამონების მაგალითად ჩაითვლება ჩვენი ჩადრებით დაბურვაც. რატომ არ გვანებებენ ჩვენი მამაკაცები პირის გამოჩენას? რატომ ვართ ჩადრში დაბურული და მოკლებული დღის სინათლეს?... ჩვენმა გასათხოვარმა ქალებმა უნდა უცადონ მშობლებისაგან პირუტყვივით გაყიდვას. მათ არა აქვთ ნება იმას გაჰყვნენ ცოლად, ვინც მოსწონთ".

წერილის ბოლოს ხაიდარ აბაშიძე დაასკვნიდა:

„დადგება დრო, რომ განათლების სხივები ჩვენშიაც გაჰფანტავს სიბნელეს. ჩვენი ქართველი მამმადიანი ქალების მოვალეობაა შვილები აღვზარდოთ დროის შესაფერისად, ჩავუნერგოთ მათ გულში მძულვარება იმ მონობისა და დამცირებისადმი, რასაც ჩვენ განვიცდით, რომ იქნება მათ მაინც დააღწიონ თავი ასეთ მდგომარეობას".

ხაიდარ აბაშიძის ეს წერილი გამოქვეყნდა 1914 წელს, „ბათუმის გაზეთის" ფურცლებზე. ავტორი იმედოვნებდა, რომ ოდესმე ჩვენთვისაც გათენდებოდა.

და აი, ნახევარი საუკუნის წინ ეს ნანატრი დღეც დადგა.

დღეს ჩვენ თავისუფალი და ბედნიერი ადამიანები ვართ.

დღეს ჩვენ თვითონ ვჭედთ საკუთარ ბედს, თვითონ ვართ ჩვენივე ქვეყნის ბატონ-პატრონები.

როდესაც რაიონული საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს და ლენინის ორდენით დამაჯილდოვეს, სამოცდაათ წელს გადაცილებულმა მამაჩემმა სიხარულით ხმაათრთოლებულმა მითხრა: „კარგ დროში ცხოვრობ, შვილო! აბა შენ იცი, როგორ დააფასებ პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას".

მეც და ჩემი ტოლებიც თავდადებით ვშრომობთ. შარშან გაპიროვნებული ნაკვეთიდან ოთხი ტონის ნაცვლად ექვს ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე. მომავალში კიდევ უფრო ბეჯითად ვიშრომებ და ახალი შრომითი მიღწევებით ვასახელებ სამშობლოს. ამას გარდა, უკვე მონდომებით ვემზადები და გადაწყვეტილი მაქვს წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე დაუსწრებლად გავაგრძელო სწავლა.

ახლა მთელი ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს ყველა სოფელი და ყველა ქალაქი ახალ შრომითს საჩუქრებს ამზადებს, რათა ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXIV ყრილობას. საბჭოთა ადამიანები, ჩაბმულნი სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. ამით ისინი გამოხატავენ თავიანთ ერთგულებას პარტიისა და სამშობლოსადმი.

მე გულდასმით გავეცანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ეს ჩემი გეგმაც არის. „ავიყვანოთ 1975 წელს ჩაის წარმოება 272 ათას ტონამდე, — ნათქვამია ამ ისტორიულ დოკუმენტში, — აგრეთვე გავზარდოთ ყურძნის, თამბაქოს და ციტრუსოვანთა წარმოება. საექსპლოატაციოდ გადავცეთ 70 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები. დავაშროთ 50 ათასი ჰექტარი გადამეტტენიანებული მიწები უმთავრესად მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად, გავადიდოთ ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება; განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა". ჩვენ, მეჩაიეები არ დავზოგავთ ძალღონეს, რათა სახახელოდ, გადაჭარბებით შევასრულოთ ეს გეგმა, გავაკეთოთ ის საქმე, რომელიც სამშობლომ ჩვენ მოგვანდო და დაგვაკისრა.

მეც მინდა ჩემი ხმა მილიონობით ადამიანის ხმას შევუერთო და მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტიას და მთავრობას, რომელმაც საშუალება მომცა უბრალო აჭარელ ქალს ცხოვრების დიდ გზაზე გამოვსულიყავი. მოგესალმებით მეგობრებო და ამ ზეიმის დღეებში მზიურ აჭარიდან ბედნიერებასა და ახალ შრომით წარმატებებს გისურვებთ.


**თამარ აბესლანიძე,**

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ „წინსვლის" ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.



# მსახიობის გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მინდა კიდევ ერთი რამ აღვნიშნო: მე წილად მხვდა ბედნიერება შევხვედროდი თინა მერკვილაძეს. ვნახე იგი ისეთ როლში, რომელმაც ჩემთვის გახსნა კიდევ ერთი მხარე მსახიობის ტალანტისა; თინა მერკვილაძემ მომაჯადოვა. ეს შესანიშნავი ხელოვანი პირველი კატეგორიის მსახიობად მინდა ვაღიარო და მიხარია, რომ გავეცანი მის შემოქმედებას", — ასე წერდა პროფ. მ. იანკოვსკი 1960 წელს, როცა მოსკოვში ქართული ოპერეტის თეატრის გასტროლები მოეწყო.

რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობს თინა მერკვილაძეს უმღერია ქართველი, რუსი, თუ უცხოელი კომპოზიტორების ოპერეტებში, და მუდამ ღრმად ჩასწვდენია ვოკალურ სცენურ სახეებს. ყველა პარტიას იგი უძებნის იმ ოქროს გასაღებს, რითაც მაყურებელს თავისი ხიმღერის ტყვეობაში ამყოფებს, მისთვის ყველა როლი საყვარელია, რადგანაც მას იტაცებს დაუცხრომელი შრომა და ძიება.

თინა მერკვილაძის თამაში ყოველთვის გამომდინარეობს აზრიდან, სახიდან. ქორეოგრაფიული და ვოკალური მხარეები მის განსახიერებაში მუდამ მჭიდროდ არის შერწყმული სიტყვასა და აზრთან. ამიტომ ახდენს იგი მსმენელზე ძლიერ შთაბეჭდილებას.

დღეისათვის ქართული ოპერეტა შესანიშნავად ათავსებს ხალისიან იუმორს ფსიქოლოგიურ დრამატიზმთან; ყოველივე ეს კიდევ უფრო ამდიდრებს მსახიობის გამომსახველობითს ხერხებს. ამაზე პირველ რიგში თინა მერკვილაძის თამაში მეტყველებს.

წლების მანძილზე, როგორც მაყურებელთა შორის, ისე თეატრის კოლექტივში გავრცელებული იყო აზრი, თითქოს თინა მერკვილაძე მხოლოდ ე. წ. „გმირი ქალების", ფსიქოლოგიური პერიპეტიებით დატვირთული სახეების ოსტატია. მაგრამ 1966-67 წლების სეზონის მანძილზე ოპერეტაში „რომეო, ჩემო მეზობელო" სტელას როლის შესრულებით მსახიობმა დაამტკიცა, თუ რამდენად მრავალმხრივია მისი აქტიორული პალიტრა. აქ ყველაფერი — გროტესკული შტრიხებიც, ვოკალური აზროვნებაც, ემორჩილებოდა ჭეშმარიტი რეალიზმის პრინციპებს, რომელიც მსახიობს ძალას აძლევს ერთნაირი ბუნებრივობით დაძლიოს და გამოკვეთოს ყველა სახე.

როცა თინა მერკვილაძემ გვიჩვენა ელიზა დულიტლის („ჩემი მშვენიერი ლედი") რთული ფსიქოლოგიური სახე, მან დიდი სიხარული მოჰგვარა მაყურებელს. და ეს იყო არა მარტო მსახიობის, არამედ მთელი კოლექტივის გამარჯვებაც, რომელმაც მტკიცედ აიღო გეზი ისეთი რეპერტუარისაკენ, სადაც ცხოვრებისეული სუნთქვა და მაჯისცემა უფრო მძაფრად და ბუნებრივად იქნებოდა გადმოცემული. სცენაზე ჩვენს წინაშე იდგა გულუბრყვილო, პატიოსანი გოგონა, ყვავილების გამყიდველი, უბირი და უშუალო, რომლის ბუნებაში მთელი ძალით ილვიძებენ გულში ღრმად ჩამარხული კეთილშობილური მისწრაფებანი.

უკვე მეორე მოქმედებაში გოგონამ იგრძნო, რომ ჰიგინსი დაინტერესებულია აქციოს იგი „პრინცესად"; ელიზა, მართლა, ექვსი თვის დაძაბული მეცადინეობის შემდეგ გადაეჩვევა ჟარგონულ მეტყველებას, მდაბიურ ქცევებს; ამავე დროს, მას ჰიგინსი შეუყვარდება, მაგრამ თავს როდი იმცირებს, ბოლომდე სულიერ სიამაყეს ინარჩუნებს, და მიუხედავად იმისა, რომ ჰიგინსის გარეშე სიცოცხლე აღარ შეუძლია, მაინც მორჩილად აღარ ემსახურება თავის მხსნელსა და მასწავლებელს, ფოსტლებს კი აღარ მიუტანს და მიართმევს, როგორც ადრე იცოდა, ესვრის თავის მოამაგესა და აღმზრდელს, რომელმაც ელიზას ახალი სამყარო დაანახვა. რატომ მოიქცა ასე სიყვარულით აღგზნებული გოგონა? მან იგრძნო, რომ ჰიგინსი მას უყურებს როგორც ლინგვისტური ცდების ობიექტს და არა როგორც ქალს, ადამიანს. აქაც თინა მერკვილაძის ელიზა ინარჩუნებს სულიერ სიამაყესა და სიფაქიზეს; ეს ყველაზე ძვირფასია მის არსებაში, მაყურებელიც ამიტომ სინანულით თანაუგრძნობს მას.

სულ სხვაა ნინოს როლი შავერზაშვილის ამავე სახელწოდების ოპერეტაში. ჩვენს წინაშეა უშიშარი, მებრძოლი, რევოლუციური სულისკვეთებით აღსავსე ქალი. ოპერეტისათვის ეს ახალი სახე იყო, მაგრამ თინამ აქაც წარმატებას მიაღწია.

ძალზე მიმზიდველი, წრფელი და უშუალოა თინა მერკვილაძის სილვა (კალმანის ამავე სახელწოდების ოპერეტა). მაგრამ მაინც ყველაზე რთული სახე თინამ, როგორც მომღერალმა და მსახიობმა, შექმნა ოპერეტაში „ჩემი შეშლილი ძმა". აქ სრულყოფილად გამოვლინდა მისი დიდი სცენური ნიჭი და კარგი ხმა, მის მიერ შექმნილი ემას სახე მაყურებლის გულს ხვდება და ზოგჯერ ნამდვილ ტრაგიკულ ძალას აღწევს. მშვენიერი იყო მსახიობი ლანას და ანჟელას როლებშიც („მეცხრე ტალღა" და „ჩანიტას კოცნა").

აქ შეუძლებელია ჩამოვთვალო ყველა როლი, რომელიც თ. მერკვილაძეს შეუსრულებია; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მის თამაშს შთააგონებს დიდი სიმართლე, სიყვარული ადამიანებისადმი, მისწრაფება იმისა, რომ აჩვენოს მაყურებელს მაღალი სული ქალისა — დედის, სატრფოსი, მეუღლისა, აჩვენოს მისი გულის უსაზღვრო სინაზე და კეთილშობილება.

**დოდო ზურაბიშვილი**

# დიასახლისი

დღე ერთია და ფოსტალიონს ჩაის სახლში ხუთჯერ მაინც მოაქვს წერილებით გავსებული ჩანთა. ბარათები, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქიდან და სოფლიდან. ახლა საზღვარგარეთიდან არ იკითხავთ?

...ათვალიერებ ამ სახლის სახელზე მოსულ ფოსტას, კითხულობ უცნობი ადამიანების ბარათებს და გული სიამაყით გევსება. სად არ გასულა ქართული ჩაის ქება-დიდება, ჩაის სახლისა და მისი დიასახლისის სახელი!

აგერ წერილი ახალი ზელანდიიდან!

„ქ-ნო თამარ! ჩვენი ოჯახი ჩაის დიდი მოყვარულია. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ყველაზე საუკეთესო ჩაი მოჰყავთ და მისგან ყველაზე სასიამო და არომატულ ნაყენს ამზადებენ. გთხოვთ დაგვეხმაროთ, გვაცნობოთ როგორ ამზადებენ თქვენთან ჩაის... აგრეთვე უნდა შეგაწუხოთ და გთხოვოთ გამოგვიგზავნოთ ცოტაოდენი ჩაი, შვილის ქორწილი მაქვს და მსურს საქორწინო სუფრა ქართულმა ჩაიმ დამიმშვენოს".

ეს რა არის! აი, ცნობა, რომ ბელგიელებმა შეისყიდეს 2.600 ტონა ქართული ჩაი. ყველაფერი კი ასე დაიწყო — ერთი ბელგიელი კომერსანტი ეწვია ამას წინათ თბილისს და ჩაის სახლში შეიარა, თან მეუღლე და ბავშვებიც ახლდნენ. მათ აქ ჩაი დალიეს, ბელგიელს ძალიან მოეწონა აქ დაჰაშნიკებული ჩაი. დაბრუნდა სამშობლოში და მაშინვე დაიწყო ზრუნვა ქართული ჩაის შესაძენად.

აი შვეიცარიელი მოქალაქის ერნესტ ეაზერის წერილი:

„არ შემიძლია დავივიწყო ის დიდი სიამოვნება, რაც ჩაის სახლში განვიცადე. მე თქვენთან გავეცანი უაღრესად არომატულ ქართულ ჩაის. ნიშნად ამ დიდი სიამოვნებისა და პატივისცემისა, გიგზავნით შვეიცარულ საათს. ვფიქრობ, ჩემი საჩუქარი თქვენ ისევე გასიამოვნებთ, როგორც მე მასიამოვნა თქვენმა გულთბილმა შეხვედრამ და სურნელოვანმა ქართულმა ჩაიმ".

როგორც მადლობის წერილები, ისე შთაბეჭდილებათა წიგნის ყოველი ფურცელი მეტყველებს ამ პატარა კოლექტივის და მისი დიასახლისის ნაყოფიერ მუშაობაზე.

თამარის ნაცნობებსა და მეგობრებს შორის ბევრმა გაიოცა, როცა მას ჩაის სახლის დირექტორობა შესთავაზეს. როგორ? თამარი ჯერ კიდევ ოციოდაათიან წლებში აკად. ა. ოპარინთან, ა. კურსანოვთან და პროფ. ჯმუხაძესთან ერთად საფუძველს უყრიდა ბიოქიმიურ კონტროლს ჩაის წარმოებაში... უძღვებოდა ბიოქიმიურ ლაბორატორიას, იყო დამსახურებული ინჟინერ-ტექნოლოგი... ახლა კი საჩაიეში იმუშაოს? ასე წარმოედგინა ზოგიერთს მაშინ ჩაის სახლის დანიშნულება.

მაგრამ საქართველოს ჩაის ტრესტში ყველამ ერთხმად თამარ გვანცელაძე დაასახელა და სხვა სახელის გაგონება არც უნდოდათ. ყველამ იცოდა თამარის დიდი სიყვარული ამ საქმისადმი. თამარი ხომ სწორედ იმ დაწესებულებაში მუშაობდა, რომელიც ამ კარგი წამოწყების მოთავე იყო; ამიტომ ყველას ღრმად სწამდა, რომ მასავით ვერავინ გაუძღვებოდა ახალ საქმეს.

გაიხსნა თუ არა ჩაის სახლი, იმ დღიდანვე იგი იქცა სამამულო ჩაის პროპაგანდის კერად. უცხო სტუმრებს გარდა, აქ თბილისელებსაც ხშირად ნახავთ. მოდიან რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, ეწყობა საქმიანი თათბირები, ამხანაგური შეხვედრები: ჩაის სახლი მუდამ სავსეა ენთუზიასტებით — დიასახლისებით. ჩაი ყველას უყვარს, მაგრამ მთავარია, როგორ არის იგი მომზადებული.

დღე ისე არ გავა, რომ თამარი და მისი თანამშრომლები ათეულ მომსვლელს არ ესაუბრონ, ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან თუ უცხოეთიდან მოსულ შეკითხვებზე არ გაგზავნონ პასუხები, არ შეფუთონ ამანათები ფოსტით გასაგზავნად.

ჩაის სახლი ქართული სტუმართმოყვარეობით ხვდება ყველას. სტუმრები დაუსრულებლად მოდიან და დილით არავინ იცის მსოფლიოს რომელ კუთხიდან ჩამოსული კაცი შემოაღებს დღეს ამ სახლის კარს.

**ნელი ჩაჩავა**

# მეყვავილე

მოთხრობა

ნათელა ონაშვილი

გარედან მაინცადამაინც არ განირჩევა სხვა სარდაფებისაგან — ისეთივე დაბალია და კიბის თორმეტი საფეხური ჩასდევს, ოღონდ ეგ არის, უცნაურად მოხატული კარები აქვს და ზედ ძალიან დიდი ბოქლომი ადევს.

ყოველ დაკეტვა-გაღებაზე მიტო ფიქრობს, რომ ყვავილების დამწყვდევა ვერაფერი ბედენაა, მაგრამ მაინც კეტავს, — ვინ იცის, ლამაზ ქალსა და ყვავილს მუშტარი არასოდეს დაელევა, ხელის წაცდენა ერთნაირად იციან ამ დალოცვილებმა.

გარედან, კარის ერთ მხარეს, მწვანე მინაზე ქოთანში ჩარგული ჭრელი ყვავილებია დახატული. მეორე მხარეს ფონი უფრო ბაცია, სამაგიეროდ ყვავილები კიდევ უფრო ჭრელი, — ერთ ღეროზე სულ სხვადასხვა ფერის ყვავილები ასხია. იქვე მოხატულია ქალი, ხელში ვარდი უჭირავს და ყნოსავს, თან ოცნებით სავსე თვალები ზეცისთვის მიუპყრია. ცა რამდენიმე ლურჯი ხაზითაა გამოსახული, ზედ დიდი, ყვითელი ბურთია დახატული, რომელიც მზე თუ არა, დავახშმებული მთვარე მაინც იქნება უთუოდ.

კარის ზემოთ მსხვილი ასოებით აწერია: „ყვავილები".

ჩამყვებით კიდეებშემომტვრეულ საფეხურებს და უცებ დაგარეტიანებთ ყვავილთა სურნელში არეული ნესტის სუნი. სარდაფში ჰაერი შეხუთულია, მზეს შეჩვეული თვალი უცებ ვერაფერს გაარჩევს, მერე კი თანდათან ჩნდება კედელზე აყუდებული დაფნისა და ნაძვის რტოები, ხის გაურანდავ მაგიდაზე დაგროვილი სანთლის გაშეშებული ყვავილები, რომლებიც საოცრად ჰგვანან გარდაცვლილ ყვავილებს, კუთხეებში სათუთად დაკიდებული გვირგვინები — გულშემატკივართა და ჭირისუფალთა უკანასკნელი საჩუქარი მათ მიმართ, ვის წამწამებშიც სამუდამოდ დაიბუდა ღამემ, ვინც მშვიდად, უსიტყვოდ თუ დაუოკებელი ბორგვით დატოვა ეს ქვეყანა და დაადგა მოუსავლეთის გზას.

— აქეთ მობრძანდით! — სარდაფის მარჯვენა კუთხიდან ხმას მოგაგებებთ მიტო.

მიტო დაბალი, მტვრიანი სარკმლის ახლოს ფუსფუსებს. სარკმლიდან დღის სინათლე ძლივს აღწევს. დილაობით ცოტა ხანს შემოიხედავს მზის ბუნდოვანი სხივი და მერე, გარეთ, მოპირდაპირე კედელზე შერჩენილი მოყვითალო შუქი საღამომდე არ სტოვებს სარკმელს. რა ფერის კაბიანი ქალიც გაივლის ქუჩაზე, წამიერად იმავე ფერის ანარეკლი გადაივლის სარდაფში და მიტოსაც ერთადერთი საღი თვალი უნებურად გაექცევა გარეთ.

უშნოდ გამოჩორკნილ ხის მაგიდის კუთხეში მორცხვად მიყუჟულა პატარა რადიოლა, მწვანე ტოტებისათვის შეუფარებია თავი და ამ ყვავილებითა და იდუმალებით მოცულ სარდაფში განუწყვეტლივ ისმის მიტოს საყვარელი სიმღერა: „ნუ გიყვარს, ქალავ..."

სიმღერის ხმა მთელ ქუჩას სწვდება. გამვლელ-გამომვლელნი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებით იცქირებიან სარდაფში.

უსმენს მიტო ამ სიმღერას და ერთ ფერმკრთალ გოგონაზე ფიქრობს...

ეს გოგონა ყოველ კვირა დილას ჩამოდის სარდაფში, მიაქვს თეთრი ქრიზანთემები.

მოდის ყოველ კვირა დილას გოგონა... კიდეებჩამომტვრეულ კიბეზე ჯერ მისი ნატიფი, მაღალი ფეხები გამოჩნდება, მერე განიერი კაბის კალთა. კაბაში, მუხლებს შუა ოდნავ ატანს გარედან შემოჭრილი დღის სინათლე. მერე გამოჩნდება მკრთალ სახეზე შარავანდედივით შემოვლებული ოქროსფერი თმა. ზურგიდან მომდგარი დღის სინათლე ზერელედ აჩეჩილ თმის ბულულშიც ატანს და მას ოქროსფერ აბლაბუდას ამსგავსებს.

გოგონას დანახვაზე მიტოს ერთადერთ საღ თვალში შუქი გაიელვებს, კიბესთანავე ეგებება ლამაზ მოჩვენებასავით გამოცხადებულს და ბავშვივით გულაძგერებული მიუძღვის იმ კუთხისკენ, სადაც მისთვის საგანგებოდ შერჩეული ყვავილები აქვს შენახული. მიაწვდის უკვე შეკრულ თაიგულს, ხელისგულებით ისე ძლიერად დაეყრდნობა მაგიდის კუთხეს, რომ თითების სახსრებთან და მაჯებთან უამრავი ნაოჭი უჩნდება, დაეინებით მიაშტერდება და თითქმის ჩურჩულით ეუბნება:

— არ თხოვდები, გენაცვალე?

გოგონას მკრთალი სახე და დიდი ცისფერი თვალები აქვს, და როცა მორცხვად დახრის გრძელ წამწამებს, სახე კიდევ უფრო უმკრთალდება, მძინარს დაემსგავსება... მიტოს გულში ტკივილით ჩაეწევა რაღაც, საფეთქელთან მსხვილი ძარღვი ამოებურცება და უკვე ხმამაღლა, თითქოს მოძალებული ტკბილი, გამაბრუებელი გრძნობის დაოკება უნდაო, ამბობს:

— მალე გათხოვდი, გენაცვალე! ისეთ გვირგვინს დაგიწნავ, დედოფალს რომ შეშურდეს, საქორწინო კალათს შეგიკრავ, ქვეყანას თვალი დარჩეს!..

გოგონა მხოლოდ გაიღიმებს და მერე უსიტყვოდ მიდის კიბისკენ. ამ ღიმილზე მიტოს ცა ეხსნება, წინიდან შემოუვლის და დანანებით ჩაჰკითხავს:

— ბიჭიც არჩეული გეყოლება! მაშ აქამდე ვინ დაგაყენებდა ისე?!

გოგონა იმავე ღიმილით შეუყვება კიბეს და თან მიტოს ნაღვლიან მზერას გაიყოლებს.

უკვე ქუჩაზე გასულ ოქროსთმიანს დღის სინათლე ახალი შუქით შეამკობს.

მიტო უცქერს, უცქერს და ენანება...

მისი ახალგაზრდა შეგირდი გოლა დინჯად გადასწვდება რადიოლას, ფირფიტას ცერით დაატრიალებს და სარდაფს ხმამაღალი სიმღერა აავსებს:

„ნუ გიყვარს, ქალავ, ჯერ შენ ხარ პატარა..."

საქორწინო და მისალოცი თაიგულების დაწნა უფრო უყვარს მიტოს, მაგრამ მიცვალებულის სახელზე შეკვეთილ გვირგვინშიც მთელ სულს აქსოვს. დაწნავს გვირგვინს და ვიდრე შავარშიიან ბაფთას მიამაგრებდეს, ცოცხალ ყვავილებს ცრემლივით აპკურებს წყლის ორიოდე წვეთს. მერე სათუთად ჩამოჰკიდებს კედელზე. მეორე დღეს კი მოწიწებით გადასცემს ჭირისუფალს, თან სევდიანად დააყოლებს:

— უკანასკნელი იყოს ასეთი მწუხარება თქვენს ოჯახში!

დაინახავს თუ არა ქუჩაზე გავლილ პროცესიას, შეგირდს ეტყვის:

— გოლა-ბიჭო, აბა ერთი ჩვენები დათვალე! ორი უკვე გაატარეს, ის, გულიანი, გუშინდელი და მეორეც დაფნისა. აგერ მესამეც. ხომ გითხარი, შუაზე ზამბახს ნუ ჩაატან-მეთქი, რა მუყირალა ფერია ეგ ღმერთგამწყრალი! ვარდისფერს არ უხდება ყვითელი... მეოთხეც, მეხუთეც... სულ რვაა... ბრინჯივით არ ერჩევიან ეგ ოხრები?! ბოლოს რომ მიაქვთ, ის ვანოს დაწნული იქნება.

— იმისია, — უდასტურებს შეგირდი გოლა, — გუშინ მისგან გამოიტანეს.

— მაგ ოჯახქორს, ბალახი დაეკრიფა და ის გაეტანებინა, საფლავს მაინც დაამშვენებდა! — ამბობს მიტო, ცოტა ხანს კიდევ გაჰყურებს ტაატით მიმავალ პროცესიას და განაგრძობს:

— უნამუსოა, მკვდარსაც რომ ყვავილს ჰპარავს, რაღა უნდა მოჰკითხო! ოხრადაც დარჩენილა ეგრე მოგებული კაპიკები! ოსტატმა მარჯვენა ფულზე არ უნდა გაყიდოს, გოლა-ბიჭო, ეს დაიხსომე. ფერი უნდა გესმოდეს, ფერები. ხომ გითხარი, ზამბახი არ ჩაატანო-მეთქი! იმას კი საქორწინოდ ისეთი კალათი უნდა დავუწნა, ქვეყანას თვალი დარჩეს!

— ვის? — ეშმაკური ღიმილით ეკითხება გოლა.

— ჩვენ რომ ვიცით, იმასა! — იბადრება მიტო.

— შენი ურგები, ქოთანი ქვას და მაწონი — ძაღლს! — ტკბილად ხითხითებს შეგირდი გოლა.

მიტოს ოდნავ შეუთამაშდება წარბი, ერთხანს ფიქრში წასული დუმს და ბოლოს დიდმნიშვნელოვნად ასკვნის:

— გოგრა ხარ, ნამდვილი გოგრა! — მერე რადიოლას ხმას აუმაღლებს და ნესტიანი სარდაფიდან ისევ გაიჭრება ფართო ქუჩაზე სიმღერა: „ნუ გიყვარს, ქალავ..."

შაბათი დილა ღრუბლიანი გათენდა. შემოდგომის ნისლი ბოლივით მოსდებოდა ქუჩებს. წვრილი წვიმა გაცრილივით იფანტებოდა ნაზად და თბილად.

მიტო ნელა მისდევს გზას. იცის, გოგონა ხვალ ადრიანად მოვა საყვავილეში. ლამაზია ეს დილა, ეს ქუჩა, ეს მთები. მიტოს ისიც ეყოფა ბედნიერებად, ცალი თვალით რომ უყუროს ამ სილამაზეს, ოღონდ გვირგვინები არ ეკიდოს კედელზე, ოღონდ მეთვრამეტე კიბე არ ჩატეხოს გვირგვინზე, რაკი თვრამეტი წლისა ველარ გახდა მისი უბედური პატრონი. მიტო რომ მოკვდეს, მის გვირგვინზე ოცდამეთხუთმეტე კიბეს ჩატეხენ. ორმოცდახუთში ფრონტზე რომ მოეკლათ, მაშინ მეთვრამეტე კიბე უნდა ჩაეტეხათ. ვინ დაუწნავდა გვირგვინს გერმანიაში... რამდენი ჩავიდა მიწაში უგვირგვინოდ და უყვავილოდ, უცრემლოდ და უჭირისუფლოდ... დღეს კი ასე ლამაზია ეს ქვეყანა, ეს დილა, ის გოგონა, და კედელზე რომ შავბაფთიანი გვირგვინები არ ეკიდოს, კიდევ უფრო ლამაზი იქნება ყველაფერი.

ის იყო, საყვავილეში ჩავიდა და, კარს ვილაც მოადგა. მეკუბოვე სიმონამ ძლივს ჩამოიტანა კიბეზე უშველებელი ღიპი და ქშენით ჩამოჯდა სკამზე.

— შენი ხელობის კაცს რაღა გასუქებს, მამაცხონებულო, იმდენი კუბოს შემყურე სანთელივით უნდა დნებოდე! — გაიღრიჭა გოლა-ბიჭი და მიტოს თვალი ჩაუკრა. მიტოს ჩაეღიმა და დაფნის რტოები მაგიდაზე დააწყო სიმონას წინ.

— ჩუმად ეგდე, ლაწირაკო, — ხრინწიანად თქვა სიმონამ, — არც შენა ხარ ღვთის ნათლული, შენც დაგჭირდები და შავ ქვას გამოგითლი, რომ ენა უკეთ დაგიმოკლოს!

— შენს გამოჩორკნილში მაინც არ ჩავწვები, მთლად დაუმარხავი რომ დავრჩე!

— მაგასაც ვნახავ!

— შენზე ადრე მაგზავნი მიქელ-გაბრიელთან?

— მაშ რა გგონია, ბევრი შენისთანასთვის გამითლია ოთხი ფიცარი!

— შენ ის იჯავრე, შენს სარგო კუბოს ვინ გამოთლის, მაგ ღიპს ვერც ექვსი ფიცარი შემოსწვდება!

— ენა დაიმოკლე! — გაბრაზდა სიმონა.

— ღმერთმანი, შენსავით მრგვალ და გაბერილ გვირგვინს დაგიწნავ, თანაც მუქთად, უკაპიკოდ, — არ მოეშვა გოლა-ბიჭი.

— შენმა მზემ, ვერ ელირსები! ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში! — ნიშნი მოუგო სიმონამ, ცალი თვალი მოჭუტა, ტუჩის კუთხე ასწია და კეფა გამეტებით მოიფხანა.

— ვითომ რატომაო? — ჰკითხა გოლამ.

— გაგიხუნდათ ხელობა, ოსტატებო! — გაიღრიჭა სიმონა.

— იჰ! — ხელი ჩაიქნია გოლამ.

— შენ იცინე და, ეგრე კია!

— როგორ? — იკითხა მიტომ.

— გვირგვინები მოდაში აღარ არის, ამბობენ აკრძალესო.

მიტომ ტოტები კუთხეში მიაწყო, მაგიდას ხელი გადაუსვა და თვალებად იქცა:

— აკრძალესო? ვინ აკრძალა?

— ვინა და თვითონ ხალხმა! აღარ უნდათ, ძველი ჩვევააო! გუშინ ჩემი მეზობელი მოკვდა და ამოდენა განცხადება გამოაკრეს, — სიმონამ ხელები გაშალა, — გთხოვთ, გვირგვინებს ნუ მოიტანთო.

— მართლა, კაცო? — გოლამ წინსაფარი ჩამოიბერტყა და წამოდგა.

— მაშ რა გეგონა?! — ჩაიხითხითა სიმონამ.

— ხუმრობს! — თქვა მიტომ.

— შვილები არ დამეხოცოს!

მიტოს ჯერ თვალი გაუშტერდა, ქვედა ტუჩი ჩამოეწია, მერე ჩრდილი ნელა გადაეყარა და უცნაურმა შუქმა გადაუარა სახეზე.

— მადლობა ღმერთს! — თქვა რაღაცნაირი მთრთოლვარე ჩურჩულით.

სიმონამ ვერ გაიგო.

— მადლობა ღმერთს! — გაიმეორა უფრო ხმამაღლა. ერთხანს უაზროდ მიაჩერდა გვირგვინებს, მერე წამოწითლდა და ხელები მუშტებად მოეკუმშა. უცებ მოუნდა სათითაოდ ჩამოელო ყველა, დაემტვრია, დაეღეწა, დაესრისა, ფეხით გაეთელა, რომ აღარასოდეს დაენახა ასე ჯიუტად და შეუბრალებლად ჩამწკრივებულები. ეს მწვანედ შეღებილი კედელი ერთი წუთით უგვირგვინებოდ წარმოიდგინა და თითქოს მძიმე ლოდი მოეხსნაო გულიდან. ცარიელი კედელი უცებ ნათელ, გამჭვირვალე უკიდეგანო სივრცედ იქცა და მშვიდ სიმსუბუქესა და გამაბრუებელ ჰაერში ატივტივდა. ჭერმა აიწია, ირგვლივ ყველაფერი ღრმა და საამო სუნთქვით აივსო. მაგრამ ამ მსუბუქი სივრციდან თანდათან ისევ ამოტივტივდა შავსან ჭირისუფალთა აჩრდილები, შეშუპებული თვალები, მთრთოლვარე ხელები და ისევ გვირგვინები, გვირგვინები, შემზარავად დადუმებული, მწუხარე გვირგვინები!..

საშინელი დაღლილობა იგრძნო, როგორც თავის ძლიერი ტკივილის გაყუჩების შემდეგ.

შეგირდი გოლა და სიმონა უსიტყვოდ მისჩერებოდნენ მიტოს მთრთოლვარე მხრებს და ჩამოფანტულ მუქ წაბლისფერ თმას.

კიბეს ვიღაც შავსანი მოადგა და სარდაფი დააბნელა. იგი ჩრდილივით ჩამოჰყვა საფეხურებს.

მიტოს ბუნდოვნად ჩაესმა ქალის ხმა:

— გვირგვინი მინდა ხვალისთვის.

სხვა დროს იგი თანაგრძნობით მიეგებებოდა ჭირისუფალს, ანუგეშებდა, დაპირდებოდა, ეცდებოდა...

ახლა უცებ მობეზრდა მთელი ეს ცერემონიალი,—ეს ნუგეშიც. ეს თანაგრძნობაც და საერთოდ ყველაფერი. საშინელ დაღლილობასა და მოთენთილობას გრძნობდა. თითქოს მას არ ეხებოდა შემოსულის სიტყვები. თავი არ აუწევია. ღრმად და ხშირად სუნთქავდა, მაგიდაზე დაწყობილი ხელები უთრთოდა. ეს იყო, დაიჯერა, რომ აღარასოდეს მოისმენდა ამ სიტყვებს და აი, ისევ...

ქალი მორჩილად იდგა და პასუხს ელოდა.

— შენ გეუბნება, კაცო! — ხელი წაჰკრა სიმონამ და წამოდგა, — დაჯექი, დედი!

ქალი არ განძრეულა, არც მიტომ აიხედა.

სიმონა ისევ იჯდა და მაგიდაზე მსუქან თითებს ათამაშებდა.

გოლა შეგირდმა ხელში შერჩენილი წკეპლა გადატეხა, ნატეხები კუთხისაკენ ისროლა და ქალს მიუახლოვდა.

— აქეთ მობრძანდით, — დაბნეულად მიიპატიჟა და წინსაფრის ჯიბიდან ფურცლის ნახევი და ფანქარი ამოიღო, მისამართი ჩაიწერა; ისიც აღნიშნა, თვრამეტი წლისა იყო და მეთვრამეტე კიბე უნდა ჩავტეხოთო.

გოლამ ქალი კიბემდე მიაცილა და ქაღალდის ნახევი მიტოს მკლავთან მაგიდაზე დადო. თვითონ მძიმე ნაბიჯით დაუბრუნდა თავის ადგილს და ხელები ხის ტოტებში ააფათურა.

— რა იყო, რა ღმერთი გიწყრებათ, — თქვა სიმონამ, — მუშტარიც ხომ მოგივიდათ, თავებს ნუღარ დაიხოცავთ!

მიტომ ნელა ასწია თავი, ერთადერთი საღი თვალით მიაჩერდა სიმონას და გაიფიქრა: „ერთი ლაზათიანი მუშტი რომ უთავაზო მუცელში, ცარიელი ტიკივით დაიფუკება!“ — მერე გოლა შეგირდზე გადაიტანა მზერა:

— მე გვირგვინს აღარ გავაკეთებ, შენ იცი და იმათ! აღარ უნდა აგელო შეკვეთა!...

— ეს ერთიც, მარტო ერთი, უკანასკნელი... სხვას აღარ ავიღებ...

— არ შემიძლია! — თქვა მიტომ და თვალები ძლიერად მოისრისა.

— დავპირდი, უხერხულია.

სიმონა ხვნეშით წამოდგა და გაჭირვებით აგორდა კიბეზე, კართან შეჩერდა და ჩაიხითხითა:

— ნეტავ კუბოზედაც თუ იტყვის ხალხი როდისმე უარს!..

ხმა არავინ გასცა.

— როდისთვის უნდათ? — ძლივს გასაგონად იკითხა მიტომ.

— ხვალ დილაადრიან წაიღებენ.

მიტო ისევ აბორიალდა სარდაფში, გრძელი ტოტები მოახვედრა ნათურას და ამოძრავდნენ ჩრდილები...

— მეთვრამეტე კიბე ჩატეხე, თვრამეტი წლისა იყო, — თქვა გოლამ.

— ნეტავ ლამაზი თუ იყო?

— რა ვიცი, თვრამეტი წლისა მაშ რა იქნებოდა!

— საცოდავი! — ამოიოხრა მიტომ.

— აბა, შენ იცი, კარგი იყოს, უკანასკნელია და ყველას დაამახსოვრე! — თქვა გოლამ და ოსტატს მიაჩერდა.

— ამის მეტს მაინც აღარ გავაკეთებ. ეს კი, ისეთი იქნება, ნახავ თვითონ!

მერე მთელ საღამოს ხმა აღარ ამოუღიათ. გოლა მხოლოდ ერთხელ ადგა და კარი გადარაზა შიგნიდან, მერე აღარ განძრეულა.

მიტო ისე ღრმად სუნთქავდა, თითქო თავისი სული უნდა შთაბეროსო ყვავილებს.

გვიან ღამით, როცა უკანასკნელი ღერი შეკრა, დაღლილობისაგან თავი მკერდზე უვარდებოდა და თითებს ვეღარ იმორჩილებდა. კუთხეში მიჯდა და სევდიანი ღიმილით მიაჩერდა გვირგვინს.

გოლაც გაოცებული და აღტაცებული შეჰყურებდა ფერთა ამ დიდებულ ჰარმონიას. ცოცხალი ყვავილები საამო სუნთქვით ავსებდნენ ჰაერს და თავიანთ საიდუმლო ენით ჰყვებოდნენ სევდიან ამბავს იმაზე, თუ როგორ შემოაღამდა ვიღაცას სიცოცხლის განთიადზე... ფერები ტალღებად გადადიოდნენ ერთმანეთში და მათი ლივლივი იდუმალ მუსიკას ჰქმნიდა — თითქოს შორს, სადღაც, ნისლში რეკდნენ უნაზესი ზარები...

— მხატვარი ხარ, ნამდვილი მხატვარი! — თქვა გოლამ.

მიტო ადგა, დარჩენილი ტოტები და ფოთლები წამოკრიფა, მაგიდა გადაწმინდა, სკამი კუთხეში მიდგა, აიღო დიდი კლიტე, რომლითაც ყვავილებს ვეფხვებივით ამწყვდევდა, კიბისკენ წავიდა და თქვა:

— დროა, წავიდეთ! ხვალ ყველა გვირგვინს წაიღებენ. მერე სულ საქორწინო კალათები და გვირგვინები დავწნათ მე და შენ, გოლა-ბიჭო, მაგრამ უნდა გახსოვდეს, ვარდისფერს არ უხდება ყვითელი. ფერი უნდა გესმოდეს, ფერი, — ესაა მთავარი!

ნაწვიმარ ღამეში გასული სევდიანად ფიქრობდა იმაზე, ნეტავ ხვალ მაინც თუ მოვაო გოგონა საყვავილეში...

ელდარ მიქაძე

# ტაძარი მთაზე

ამ მთაში
როგორ მოხვედი,
ზეცით, მიწით
თუ ბარადა...
ვარსკვლავმრიცხველის
ჩუქურთმა
ჩანს მთის და ზეცის
ბალადად...

როგორ იზარდა
მამული,
ცად იწვის ქვათა
გენია...
ცის სადგურია
ტაძარი,
ცისარტყელები
მღერიან...

მხარბეჭზე გადეს
მთის ზეცა,
ვაჟას აზრებით
ნალმული...
აფეთქებულხარ
ჩუქურთმად
და დახატულა მამული!..

არც ქნარი, რითმა
მჭირდება,
ნიკორწმინდა
რომ ვადიდო...
ის მხოლოდ სულს
ეჭიდება,
ძმობას სთხოვს
სამარადისოდ!..

ამ მთაში
როგორ მოხვედი
ალბათ მთელ
იმერ-ამერით!..
ქვათა სიცოცხლე —
სიბრძნეა
და საქართველოს
დამღერის!..

# ცოტა რამ ზაქარია ფალიაშვილზე

**საქართველოს სახალხო არტისტი, ცნობილი საოპერო მომღერალი ოლღა ალექსანდრეს ასული ბახუტაშვილი-შულგინა (1879-1950 წ.) სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 1902 წელს, თბილისში. მომდევნო წლებში იგი დიდი წარმატებით მღეროდა მოსკოვის, კიევის, პარიზის, მილანისა და სხვა ქალაქების საოპერო სცენაზე. ო. ბახუტაშვილმა პირველმა შეასრულა ეთერის პარტია ზ. ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“.**

**ოლღა ბახუტაშვილის მოგონება, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, დაწერილია 1948 წელს, კომპოზიტორის გარდაცვალების ათი წლისთავზე. დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში.**

---

ზაქარია ფალიაშვილი ეკუთვნის იმ რჩეულ ადამიანთა მცირე რიცხვს, რომელნიც თვით ბუნებით მოწოდებული არიან შეასრულონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული მისია და თავიანთი მოღვაწეობით შექმნან მთელი ეპოქა. მან საფუძველი ჩაუყარა ნამდვილ ქართულ ნაციონალურ ოპერას, ააგო რა ისეთი მკვიდრი და ისეთი ტურფა დიადი შენობა, „ბროლის ციხე“ — „აბესალომ და ეთერი“, რომ იგი საუკუნეებს გაუძლებს და მაგალითი იქნება ქართველი კომპოზიტორების ყველა თაობისათვის.

ჩემს ამოცანას არ შეადგენს ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების დეტალური შეფასება და გამორკვევა მისი მნიშვნელობისა მსოფლიო და ქართული მუსიკისათვის. ამაზე საკმაოდ თქმულა და დაწერილა (ილია ზურაბიშვილი, შ. ასლანიშვილი და სხვ.) და კვლავ იტყვიან და ბევრს დაწერენ მუსიკოსები, საოპერო ხელოვნების მცოდნენი და სპეციალისტები. მე ამჟამად ვლაპარაკობ ზ. ფალიაშვილზე, როგორც მისი თანამედროვე, რომელსაც ბედნიერება მქონდა შევხვედროდი მას ცხოვრებისა და შემოქმედების გზაზე, ვყოფილიყავ მისი ეთერის პირველი შემსრულებელი, მასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით შემეთვისებინა ოპერის მუსიკალური ტექსტი და სულიერად ვზიარებოდი მის შემოქმედებას.



ო. ბახუტაშვილი.

ცოცხლად მახსოვს ოპერის სცენაზე „აბესალომ და ეთერის“ პირველი დადგმა, რამაც ჯერარნახული აღტაცება გამოიწვია მთელ ქართველ საზოგადოებრიობაში.

ყოველი საერთო სასიმღერო ვარჯიში, ყოველი რეპეტიცია გვიცხოველებდა გულისხმიერებას მომავალი ზეიმისადმი.

მზადდებოდა დასადგმელად პირველი ქართული ოპერა.

მართლაც რომ იყო საბაბი, რომელსაც უნდა აეძგერებინა ჩვენი და ყველა ქართველის გული!

გენერალური რეპეტიციის დღისთვის სულიერმა დაძაბვამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მით უფრო, რომ ერთ-ერთი თავდადებული თაყვანისმცემელი და პროპაგანდისტი ამ ოპერისა — ჩვენი ქართველი სტასოვი — ილია ზურაბიშვილი, რომელიც რეპეტიციებს ესწრებოდა და რომელმაც პირველმა პირველთა შორის გამოამჟღავნა და შეაფასა ამ ოპერის მშვენება, მისთვის ჩვეული ექსპანსიობით სთესდა ინტერესს ამ ოპერისადმი ქართველი საზოგადოების ყველა წრეში, სადაც კი მისწვდებოდა, და გახურებულ დავას უმართავდა ყველა დაეჭვებულს.

ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ გენერალური რეპეტიციის დღისთვის ქართველი საზოგადოების სულიერმა აღძვრამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია.

ამ ზეიმის ყველა მონაწილე, ყოველი ჩვენგანი, ვისაც წილად გვხვდა პატივი, ღირსება და პასუხისმგებლობა ქართველი საზოგადოების ფართო ფენებში გაგვეტანა ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება, მისი პირმშო ქმნილება, რასაკვირველია, ყველაზე მეტად ვღელავდით.

ამავე დროს, თვით ავტორი არა ზოგავდა არც თავის ძალ-ღონეს, არც დროს და მთლად მისცემოდა მუშაობას თვითეული ჩვენგანის მომზადებისა და შემოწმებისათვის. ეს პირდაპირი, საოცრად შრომისუნარიანი ადამიანი ყოველთვის მზად იყო ამა თუ იმ პარტიაზე სამუშაოდ, არა მარტო ოპერის პირველ პერსონაჟებთან, არამედ ქოროს თვითეულ მომღერალთანაც კი ცალკეულად.

მას ყოველთვის და იოლად შეეძლო, ვთქვათ, აკომპანიატორი რომ არ ყოფილიყო, მისჯდომოდა როიალს და ღამის 2-3 საათამდე ემუშავნა ჩვენთან.

ასეთ შრომისუნარიანობას იგი ამჟღავნებდა არა მარტო თავისი ოპერის მომზადების დროს, არამედ თავისი საქმიანობის ყოველ შემთხვევაში, რაც მე არაერთხელ შემინიშნავს, როდესაც იგი ჩვენი კონსერვატორიის დირექტორი იყო.

აქვე უნდა აღვნიშნო აგრეთვე ზაქარია ფალიაშვილის ის თვისებაც, რომ მას ე. წ. ცრუ ავტორული თავმოყვარეობა სრულიად არ გააჩნდა.

აი მცირე ფაქტი, ამის მაჩვენებელი.

ეთერის პირველი არია ოპერის პირველ სურათში თავდებოდა პირველი ოქტავის სოლ-ნოტით.

ასეთი დასასრული, უმთავრესად ვოკალური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით მე როგორღაც ამ არიის შინაარსის შეუსაბამოდ მეჩვენებოდა, შეუსაბამოდ თავის ბედზე მომტირალი ობოლ გოგონასი.

მე გავბედე და ვუთხარი ზაქარია ფალიაშვილს, — კაეშნურ გრძნობას უფრო მეტყველად და უფრო ბუნებრივადაც ქალის ხმა მაღალი რეგისტრის გამჭვირვალე ნოტით გაცილებით უკეთესად გადასცემს, ვიდრე საშუალო რეგისტრის ნოტით-მეთქი.

ყურადღებით მომისმინა და იმ წამსვე როიალთან მიმჯდარმა, მთხოვა, დამემთავრებინა არია ისე, როგორც მე ვგულისხმობდი, მერე მითხრა — ასე სჯობიაო. და იქვე შეიტანა შესწორება თავის პარტიტურაში.

ბევრი რამ შეიძლება გაიხსენოს ადამიანმა და ბევრი რამ ითქვას ქართული საოპერო ხელოვნების გენიალურ დამწყებზე, მეტადრე იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც პირველმა წარმოდგენებმა მოახდინეს საზოგადოებაზე, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, საზოგადოების ინტერესი ოპერა „აბესალომ და ეთერისადმი“ დღითიდღე იზრდებოდა.

ამ ოპერის პირველი წარმოდგენების შემდეგ აშკარად გადაწყვეტილად ითვლებოდა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, საერთოდ ხელოვნებისა და, კერძოდ ქართული ხელოვნებისათვის, სახელდობრ ის, რომ დაიბადა ქართული ოპერა, საფუძველი ჩაეყარა ქართულ აკადემიურ მუსიკას, რომ ფალიაშვილმა ხალხურ მუსიკაზე დამყარებით განსაზღვრა და გამოსახა თავისი ოპერის მელოდიების განსხვავებული ფორმებით და ჰარმონიზაციით ნიშანდობლივი ხასიათი სწორედ ქართული მუსიკისა, რაც საშუალებას გვაძლევს ჩვენ გაწვასხვავოთ იგი რუსულისა, იტალიურისა, ფრანგულისა და ყველა სხვა მუსიკისაგან.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ზაქარია ფალიაშვილმა მოიმოქმედა საქართველოსათვის ის, რაც თითქმის ასი წლის წინათ გააკეთა რუსეთისათვის გენიოსმა რუსმა კომპოზიტორმა გლინკამ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსული მუსიკის აღორძინების და განვითარების მთელ პერიოდს.

მაგრამ ფალიაშვილი უფრო ბედნიერი აღმოჩნდა.

მაშინ, როდესაც იმის გარკვევას, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა გლინკას შემოქმედებასა და როგორი იყო მისი როლი რუსული მუსიკალური ხელოვნებისათვის, ფართო პროპაგანდა დასჭირდა ე. წ. „ძალოვანი ჯგუფის“ ისეთი ავტორიტეტიანი წარმომადგენლებისა, როგორიც იყვნენ პირველ რიგში ბალაკირევი და სტასოვი, ხოლო შემდეგ მუსორგსკი, რიმსკი-კორსაკოვი, ბოროდინი და კიუი, — ზაქარია ფალიაშვილი ბედნიერი იყო მით, რომ სიცოცხლეშივე იგი საყოველთაოდ აღიარებულ იქნა დიდ შემოქმედად, რა ბედნიერებასაც მოკლებული იყო ბევრი სხვა ნიჭიერი კომპოზიტორი.

და აი, ახლა, როდესაც აღვნიშნავთ ათი წლის თავს მისი სიკვდილის დღიდან, წუხილისა და ჭმუნვარების გრძნობა გვეუფლება მისი ასე უდროოდ დაკარგვის გამო.

რამდენი დიდი კომპოზიტორი, თუნდაც ევროპელთა შორის როსინი, გუნო, ვერდი, ვაგნერი, გარდაიცვალა მხოლოდ ღრმა მოხუცებაში. ვერდიმ შექმნა თავისი „ოტელო“, როდესაც იგი უკვე 75 წლისა იყო, ხოლო ვაგნერმა ოთხმოცი წლისამ დაწერა თავისი „პარსიფალი“. ზაქარია ფალიაშვილი კი დავკარგეთ მაშინ, როდესაც მისი სულიერი ძალა და შემოქმედების აქტუალობა ჯერ კიდევ სრულ გაშლა-გაფურჩქვნას განიცდიდა, და მას ნათქვამი არა ჰქონდა თავისი უკანასკნელი მხატვრული სიტყვა.

მაგრამ ის, რაც ზაქარია ფალიაშვილმა მემკვიდრეობად დაუტოვა ქართველ ხალხს, რომელსაც მან შესწირა უკლებლივ ძალნი თავისი მგზნებარე სულისა და რომლის ხელოვნების საკურთხეველზედაც მან აღმართა ორი სრულყოფილი ძეგლი „აბესალომი“ და „დაისი“, სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა მისი ხსოვნა ცოცხლობდეს სამარადისოდ.

**ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა.**

ვანო ჩხიკვაძე

# ხ მ ე ბ ი

მზია ხეთაგურს

1.

არა იმიტომ, რომ ფიქრი ჩემი შენი ტკივილის მსხვერპლად ვაქციო,
არა იმიტომ, რომ სუნთქვა ჩემი შენი ხელების სითბოდ ვაქციო,

მხოლოდ იმ მაღალ ძახილთა გამო, მხოლოდ იმ ნათელ სურვილთა გამო
შენში შემოსვლას უსიტყვოდ ვლამობ.

რა ჰქვია ამას არავინ უწყის, რას მოასწავებს უსისხლო ომი.
შენი წმინდა და ნათელი ხილვა მათენებს, როგორც ბნელ ქალაქს თოვლი.
და ხმები, ხმები

ცხადში თუ სიზმრად, ჩემი ნაცნობი, მაღალი ხმები
მიხაფრდებოდნენ, და იწვნენ ჩემში, ცივები როგორც საფლავის ქვები.

მერე ბორგავდნენ და უფსკრულებში გადადიოდნენ ზათქით, ხარხარით.
გასაღვიძებლად მანჭლრევდნენ დიდხანს და იდგა,
იდგა,
იდგა, ზამთარი.

2.

შენ თვალებს ჰგავხარ ფართოდ გახელილს და გაზაფხულის ცას აფერადებ,
არცერთს არ ერქვა შენი სახელი, ვინც დადიოდა ჩემში შენამდე.

დღემდე არ ჩანდი, მკვდარი ქალაქის ვიწრო ქუჩებში მეძებდი თურმე.
უცებ გაცოცხლდა ჩემთვის ქალაქი, ვიგრძენი, როგორ მომეშვა მხრებზე, —

წამოვიმართე მენავესავით, მივყარ-მოვყარე ძველი ხოფები,
თითქოს დარეკა ზარმა მესამემ, გავაღე კარი და შენ მოხვედი,

არა იმიტომ, რომ ფიქრი შენი ჩემი სურვილის მსხვერპლად გექცია,
არა იმიტომ, რომ სუნთქვა შენი ჩემი ხელების სითბოდ გექცია,

მხოლოდ იმ მაღალ ძახილთა გამო, მხოლოდ იმ ნათელ ხილვათა გამო
ჩემში შემოსვლა უსიტყვოდ სცადე.

და მე მიგილე.
იმ წუთს ჩრდილივით.

მუზეუმიდან გაქრნენ ქალები,
დაიმსხვრნენ ჩვენ წინ და ნამსხვრევებზე ძალიან ფრთხილად გადაგატარე...

მიყუჩდნენ ხმები, დაკარგეს ძალა, ეწვივნენ ზეცის მაღალ სართულებს,
და ჩაეძინა პატარა ქალაქს, ვიწრო ქუჩებს და მიმქრალ ნათურებს.

3.

შენ მე მელოდი, მაგრამ ჩემამდე სხვისთვის აენთე უცხო კანდელად,
ხელები შენი ნისლში ელავდნენ, ხელები შენი ეპყრო განგებას.

და თენდებოდა, ღამეს უთევდა წვეთი ჩათვლემილ ბალახის ღეროს,
კრამიტზე ნისკარტს უკაკუნებდა ფრთაშერუჯული ცალთვალა წერო.

მდინარის პირთან იდგა დაღლილი, მწვანედ ღელავდა ხეების რიგი.
და შორს ელავდა შენი ნაპირი, შარაგზებსა და ბილიკებს იქით.

იქ შენთან ერთად ვილაცა ჩანდა, მზე მოდიოდა მთებზე-ძუნძულით,
განათდა ირგვლივ, ის ვილაც გაქრა და გარიყული დარჩა კუნძული.

და სდუმდნენ, სდუმდნენ სამრეკლოები. სდუმდა ის, ვისაც ძალა არ ეყო.
და მე მოვედი, შენთან მოვედი, რომ ყველა ზარი ერთად დავრეკო.

ჩემო სიკეთევ, ტკივილო ჩემო, წარსულის ლანდებს ყველას დავეხსნე
და შემოგყურებ, ვით ბროლის ჰურჰელს, რომ არ დამექცე, რომ არ დამემსხვრე.

და ისევ ხმები,
აპრილის ხმები, ავსებენ სახლის კუთხე-კუნჭულებს,
ამოწვერილა ბალახი ზევით და მინდორ-მინდორ თრთის და ჩურჩულებს.

სხვა მოლოდინით მავსებს აპრილი, შენა ხარ ახლა ჩემი უხვი მზე,
მერე უსკდება ზეცას წარბივით ელვა და, ვმღერი პირველ ქუხილზე.

4.

თითქოს ელოდი ჩამტვრეულ კიბეს, დატორტმანებდი როგორც გემბანზე,
და კლავიშებზე კვდებოდნენ რიგით ხმები თითების ფრთხილ შეხებაზე.

დიდხანს გეძახე არ წასულიყავ, დაბრუნდებოდი ვიცოდი ბოლოს,
ქროდა ზღვაური ნავსადგურიდან — ზღვა წრიალებდა ყალყზე დამდგარი.

ვერ გაგაგონე ჩემი ძახილი, განიბნა, ვითარც ბაერში ბოლი
და გადაება წლები და წლები, წვიმა და თოვლი, ზამთარს ზამთარი.

თუ დაჭორფლილი ზეცა ციმციმებს — ხმა ალამაზებს მის ღვთიურ სურათს,
ხმები უძლებენ ყველა სიმძიმეს და პატრუქდამწვარ ნალმივით სდუმან.

დღეს ერთადა ვართ მტკიცე ფიცივით, არც განშორების ღრუბელი არ ჩანს,
ხმები გრძნობენ და ხმებმა იციან ის რაც მოხდა და უთქმელი დარჩა.

5.

ოენდება კიდეც...
და ხმები, ხმები სახლის კედლებზე ჩრდილივით თვლემენ,

მერე ხანგრძლივი სიჩუმე წვება, სიჩუმე წვება, არჩეულ ფერებს
ყვავილებივით ვაწყობ ბალიშზე.
შენ კი ბავშვური ღრმა ძილით გძინავს.
ხანაც შეკრთები, როცა მზეწვია მზის გუნდასავით ეხლება მინას.

ჩემს სახლს სხვაგვარი სითბო ეწვია, ფოფინებს დილა — ნაცნობი ვალსი.
ოთახს პატარა ყიჟინით ავსებს: — მზე არ ჩაქრება? —
კითხულობს ბავშვი.

— მზეს ვინ ჩააქრობს შვილო და ხატო, ოღონდ ირწმუნე,
ოღონდ გჯეროდეს.
ამოდის, სივრცე მიეცით ფართო, მზე, მზე ფრთხიალებს ლეჩწმის ღეროზე.

და ისევ ხმები...
ოთახში დიდხანს გაბრწყინებული ითვლის ნაბიჯებს,
კვლავ იმეორებს პატარა კითხვას: — მიწას მივენდო?
მიწა გამიძლებს?

---

ქირა ქვეიძე

## ი მ ე დ ი

ველარაფერი ვერ მომკლავს ახლა,
გავიზარდე და დავმძიმდი მართლა,
მე მარტო არ ვარ,
ამ მილეთ ხალხში მე ერთის და ვარ,
ერთის დობილი,
ერთის შვილი და
ერთი ყრმის დედა,

ერთი მიყვარს და ერთსაც ვუყვარვარ,
მე რამდენიმე ქალი ვარ ერთად.

ჩემში ერთ-ერთ ქალს ლექსი აწვალებს,
ერთსაც მუსიკა, ერთს კიდევ ცეკვა,
ერთს ფუნჯის მოსმა უნაზავს თვალებს,
ერთს სიყვარული მიუძღვის მეკვლედ,
ჩემში ერთ-ერთი დიასახლისობს,
ერთ ქალთაგანს კი ღვინო სწყურია,
ერთს ფარი შვენის, ერთსაც სახნისი,
ერთს სურს დაიპყროს მთელი დუნია,
ჩემში ერთ-ერთი მძლეა, ფხიანი,

მე რამდენიმე ქალი ვარ ერთად,
და რამდენიმე ადამიანი.

იცოდეს ღმერთმა, კაცმაც და ერმაც
მე დედაკაცი მიტომ მიწოდეს,
სადღაც კაცისაც დასადარი ვარ,
მიწა ვარ, ცა ვარ!
მზეო, იცოდე,
სადღაც წვიმა ვარ, სადღაც ქარი ვარ!
სადღაც კლდეებად ჩამოვითლები,
ერთი კი არა, ათი ქალი ვარ,
ათივე როგორ გარდავიცვლები!



ქალის პორტრეტი.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა დიმიტრი ხა-ხუტაშვილმა სადიპლომო ნამუშევრითვე გაითქვა სახელი. მისმა კომპოზიციურმა პანომ „ქართველ მხატვართა ჯგუფმა" იმთავითვე მიიქცია ყურადღება.

ამის შემდეგ დიმიტრი ხახუტაშვილი სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. ყოველი მისი ნამუშევარი ყურადღებას იპყრობს ფერის სიფაქიზით, თემის სიახლით. მის ტილოებზე ხატოვნადაა წარმოდგენილი ჩვენი სამშობლოს მთა ბარი, ჩვენი ადამიანების სახეები.

ნიჭიერმა მხატვარმა ქანდაკებაშიც სცადა თავისი ძალა და არა ერთი საყურადღებო ნამუშევარი შექმნა. აქაც, ისევე, როგორც ფერწერაში, ფორმის კარგი შეგრძნების უნარი გამოამჟღავნა.

დიმიტრი ხახუტაშვილი მრავალი გრაფიკული ნამუშევრის ავტორია. განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი მუშაობა საბავშვო წიგნის გრაფიკაში.

მუდამ ძიებაშია ნიჭიერი მხატვარი, თავის ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას იგი შესანიშნავად უთავსებს პედაგოგიურ მოღვაწეობასაც.

# დიმიტრი ხახუტაშვილი



მეფის ძალაუფლების მსხვერპლი.



საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი შ. კალანდარიშვილი



მხატვრის სახელოსნოში.



დოდო ჩებერიაკის პორტრეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გოგონა ძაღლით.



მიშუნა ბარქაიას პორტრეტი

## დიმიტრი ხახუტაშვილი



ქართული პეიზაჟი



მოხუცის პორტრეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„მიუნჰაუზენის"
ილუსტრაცია.



მეუღლის პორტრეტი.



პეიზაჟი.

# დიმიტრი
# ხახუტაშვილი

„მიუნჰაუზენის" ილუსტრაცია.





ბერიკაცი.

„მატიანის ერთი სტრიქონი" — ჩვენი ჟურნალის სპეციალური განყოფილებაა. აქ გამოქვეყნდება მოკლე ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან; ძირითადად ეს იქნება უცხოურ წყაროებში დაცული მასალები, რომლებიც შეავსებენ ჩვენს მატიანეებში შემონახულ ამა თუ იმ ცნობას. ხშირად „ქართლის ცხოვრების" ერთი სტრიქონი, თუ ერთი ფრაზა შეიცავს მთელ ამბავს, რაც საინტერესოა არა მარტო ჩვენი სამშობლოს, არამედ მსოფლიო ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

როგორ აისახა უცხოურ წყაროებში ქართველი მხედრის სიმამაცე ბრძოლის ველზე — ასეთია წინამდებარე წერილის თემა.

მატიანის ერთი სტრიქონი

# პიეტრო დელა ვალეს წინასწარმეტყველება

ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს ცხოვრებაში" ორიოდე სიტყვით გვაუწყებს ავღანების მიერ სეფიანთა ირანის ლაშქრის დამარცხებას ქ. ისპაანის მისადგომებთან 1722 წ. გაზაფხულზე და დასძენს: „მაშინ მოუწერა ყეენმან მეფესა, რათა მწე ექმნეს".

თავისთავად, მრავლისმეტყველი ცნობაა, მაგრამ თუ რაოდენ დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა დახმარებას სეფიანთა დინასტიის ყოფნა-არყოფნისათვის, ამას გაცილებით ვრცლად მოგვითხრობენ უცხოური წყაროები.

პოლონელი მისიონერის თადეუშ კრუშინსკის სიტყვით, შაჰი დიდ იმედებს ამყარებდა ქართველებზე. მათი ძლევამოსილება თანაბრად იყო ცნობილი როგორც სპარსელთათვის, ისე მეამბოხეთათვისო. კრუშინსკი ამტკიცებს, რომ ავღანთა წინამძღოლი მირ-მაჰმუდი დაპირდა თავის ჯარებს, მაშინვე მოვხსნი ალყას, თუკი ქართველები გამოჩნდებიანო.

ალყაშემორტყმულ და შიმშილისგან არაქათგამოლეულ ქალაქში იმედის შუქივით გაიელვა შორიდან მოტანილმა ამბავმა. საფრანგეთის კონსული გარდანი წერდა: „ამბობენ, რომ საქართველოს მეფემ დაამარცხა ლეკები, წაართვა შემახის პროვინცია და აქ გზავნის თავის ვაჟს 12.000 ქართველის თანხლებით. ეს გახლავთ, ჩემო ბატონო, საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ ამ სამეფოს საქმეები გამოკეთდეს. მაჰმუდი იძულებული გახდება უკან დაიხიოს, არადა მოუწევს დიდი რისკის გაწევა ქართველთა ლაშქართან შებრძოლებით".

როგორც ვხედავთ, ამ საკითხზე ერთი და იმავე აზრისა იყვნენ ირანის შაჰი, ავღანთა წინამძღოლი და ფრანგი დიპლომატი.

ბეწვზე ეკიდა სეფიანთა ბედ-იღბალი და საცაა გაწყდებოდა ეს ბეწვი. ახლა ყველაფერი იყო დამოკიდებული საქართველოზე...

ევროპასა და აზიაში ოდითგანვე იყო ცნობილი ქართველთა საბრძოლო შემართება და „სიმხნე წყობათა შინა". ამას მოყვარეც ამბობდა, ამას აღიარებდნენ მტრებიც (მათ შორის ისეთი სახელგანთქმული სარდლები, როგორიც ჯელალ ედ-დინი და თემურ-ლენგი).

მაგრამ ერთიანი სამეფოს დაქუცმაცების შემდეგ საქართველოს ძლიერების მზე ჩაესვენა და თუმცა არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, მისი სამხედრო პოტენცია ნაწილობრივ მაჰმადიანურ სამყაროსაც ასაზრდოებდა.

ქართველების დაწინაურება სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე იწყება შაჰ-აბას I-ის დროიდან. მან ყიზილბაში ამირების გავლენის შესასუსტებლად შექმნა ყულის ჯარი, რომელიც ძირითადად ქართველი მეომრებისაგან შედგებოდა და მათი სარდალიც (ანუ ყულარაღასი) ჩვეულებრივ ქართველი იყო. სიტყვა „ყული" ნიშნავს მონას, მაგრამ ამ ტერმინს სრულიადაც არ ჰქონია დამამცირებელი მნიშვნელობა. ეს იყო შაჰის პირადი გვარდია. ყულარაღასი და მისი ჯარი ზოგჯერ შაჰების ტახტზე აყვანაშიც კი ერეოდნენ. მათი ძალა ყველასთვის ანგარიშგასაწევი იყო.

ტყვედ წაყვანილთა თუ ბავშვობაში გატაცებულთა გარდა, ირანში სამართლის საძიებლად წასული ხალხიც იყო. შაჰი ყველას პატივით იღებდა და წყალობას არ აკლებდა, ოღონდ გამაჰმადიანებულიყვნენ. ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავდა — ირანს აძლიერებდა, საქართველოს ასუსტებდა.

სეფიანთა ირანში აღზევებულ ქართველთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ალავერდი-ხან უნდილაძე, ირანის პირველი ყულარაღასი, შაჰ-აბასის სამხედრო რეფორმების სულისჩამდგმელი და ხორცშემსხმელი, მისი ვაჟები: ფარსის ბეგლარბეგი იმამყული-ხანი და განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი; აგრეთვე ირანის სპასალარი და თავრიზის ბეგლარბეგი როსტომ-ხან სააკაძე. მაგრამ ჩამოთვლა ყველასი შორს წაგვიყვანდა.

XVII საუკუნეში ირანის ხშირი სტუმრები იყვნენ ევროპელი მოგზაურები, ელჩები, ვაჭრები და მისიონერები. მათს ნაწერებში ჩვენთვისაც ბევრი რამ არის საინტერესო.

იტალიელი მოგზაური, ლიტერატორი და მეომარი (მონაწილე მავრებთან ბრძოლისა) პიეტრო დელა ვალე წერს (1619 წ.), რომ ირანის სამხედრო ძალის უდიდეს და საუკეთესო ნაწილს წარმოადგენენ ქართველი მეომრები.

ინგლისის ელჩობის წევრი თომას ჰერბერტი (1627 წ.) ხაზს უსვამს ომებში სიმამაცით განთქმულ ქართველთა ერთგულებას, რამაც მათ ბრწყინვალე რეპუტაცია მოუპოვა ირანში. „იშვიათად სმენია ვინმეს რომელიმე მათგანის მუხანათობა, ანდა ის, რომ სპარსელთა სამსახურში მყოფი ოდესმე გადასულიყო თურქთა მხარეზე".

აბატ გოდეროს აზრით „ქართველები უდავოდ ყველაზე მამაცი ხალხია აღმოსავლეთში" (სხვათაშორის, ეს მისიონერი აქტიურად მონაწილეობდა ირან-საფრანგეთის დიპლომატიურ ურთიერთობაში).

XVII ს. დამლევს სეფიანთა ირანი აღარ ჰგავდა შაჰ-აბასის დროინდელ იმპერიას. მოგზაურს ათასი ხიფათი ელოდა გზებზე. ყაჩაღები თუ თავაშვებული ადგილობრივი მმართველები განუკითხავად ძარცვავდნენ გამვლელ-გამომვლელს. ამიტომაც იყო, რომ 1685 წელს ერევნიდან შემახას მიმავალი ფრანგი იეზუიტი ფილიპ ავრილი (იგი იეზუიტთა ორდენის დავალებით ზვერავდა სახმელეთო გზებს ჩინეთისაკენ) და მისი ამალა „გადაცმული იყვნენ ქართველებად, რომელთა სამოსელი თავზარდამცემია მთელს სპარსეთში". ეს იყო უშიშროების ყველაზე საიმედო გარანტია.

იტალიელი იურისტი და მოგზაური კარლო ჯემელი-კარერი ირანში ყოფნისას შეხვდა გორელ უზბაშს (ასისთავი), რომელსაც შაჰისგან ჰქონია ბოძებული სოფელი, საიდანაც წელიწადში იღებდა შემოსავალს 100 თუმნის ოდენობით, ჯამაგირი კი წლიურად 50 თუმანი ეძლეოდა. ჯემელი-კარერის სიტყვით, შაჰი იმიტომ აკეთებს ამას, რომ ჩამოაშოროს ისინი სამშობლოს, რათა ვეღარ იფიქრონ ამბოხებაზე. გორელ უზბაშს ექვსი ქართველი მეომარი ახლდა, რომლებიც თურმე მხოლოდ და მხოლოდ თავისი ბატონის მიბაძვით გათათრებულან, თავად არასოდეს უფიქრიათ ელოცათ მაჰმადიანური წესით და წყევლიდნენ ამ ცრუ მოციქულს (ე. ი. მაჰმადს). მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეს გზაში ჯემელი-კარერის, სუფრაც გაუშალეს და გულღიად გაუმასპინძლდნენ. სამაგიეროდ, თბილი სტრიქონები დაიმსახურეს იტალიელი მოგზაურის წიგნში, რომელიც შემდეგ ფრანგულ და ინგლისურ ენებზეც იქნა თარგმნილი.

პეტრე I-ის ელჩი ირანში არტემ ვოლინსკი წერს: „მთელს სპარსეთში საუკეთესოდ მიმაჩნია ქართველთა ჯარი". ვოლინსკი ამტკიცებს, რომელი გამარჯვებაც კი მოუპოვებიათ სპარსელებს თურქებთან თუ ინდოელებთან ბრძოლაში, მეტწილად ქართული ლაშქრის წყალობითო.

ასეთი სურათი იყო XVII საუკუნეში და მით უმეტეს გაიზარდა ქართველთა ფასი, როდესაც, დავით გურამიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „ხრმლის სიფოლადეს სპარსთასა ჟამი რამ მიხვდა ლბობისა, ხმა დაუმდაბლდათ, მოულბათ, სიტყვის თქმა ამაყობისა".

1722 წ. გაზაფხულზე გულნაბადის ბრძოლაში (ქ. ისპაანის მახლობლად) 400 ქართველთან ერთად დაიღუპა როსტომ ყულარაღასი, ვახტანგ VI-ის ძმა. მაგრამ ამ მცირე რაზმის გმირობამ ვერ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ავღანებმა ალყა შემოარტყეს ისპაანს. ირანის შაჰმა მაშინვე საქართველოს მიაპყრო იმედის თვალი. ვახტანგის ვაჟს ბაქარს ყულარაღასობა უბოძა, ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა და მოუწოდა ისპაანისკენ.

თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსი ლ. ლოკარტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ ავღანთა დამარცხება.

ცნობილი ქართველოლოგის დ. ლენგის აზრით, საქართველოს სამხედრო მხარდაჭერა უთუოდ იხსნიდა სეფიანთა დინასტიას.

ნუთუ მართლა შეაბრუნებდა ვახტანგ VI ისტორიის მსვლელობას? ვინ იცის...

მაგრამ ახლა სიტყვა მივცეთ პიეტრო დელა ვალეს. მან ამ კატასტროფამდე ერთი საუკუნით ადრე დამხობა უწინასწარმეტყველა ცეცხლითა და მახვილით შეკოწიწებულ იმპერიას. შაჰ-აბასის სასტიკ პოლიტიკასთან დაკავშირებით დელა ვალე წერდა, რომ უფალი დაუსჯელად არ ტოვებს ერთი ადამიანის მიერ მეორის მიმართ ჩადენილ ბოროტებას და თვით ბოროტების მსხვერპლიც ყველაფერს დავიწყებას როდი გაატანს. ასე რომ, ქართველებმა ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა შური იძიონ სეფიანებზე.

წინასწარმეტყველება გამართლდა. ბაქარი დაიძრა ქართველთა ლაშქრით ისპაანისაკენ, მაგრამ მამამისმა შუა გზიდან მოაბრუნა იგი. ვახტანგ VI, რუსეთის ერთგული მოკავშირე და მეგობარი, აღარ აპირებდა ქართველთა სისხლი დაეღვარა სეფიანთა დინასტიის გადასარჩენად.

დ. ხაზარაძე



# მე ალჟირში ვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღაბნოში ერთკუზიანი აქლემი სჯობს 100 ცხენისძალიან „რენოს“.



ტრანსპორტის ორმხრივი მოძრაობა.



— ამის გარდა, კიდევ შვიდი შვილი მყავს

ტვირთის გადაზიდვის სხვადასხვა საშუალებები.















..ავსამკაულის გალერეა.



„დიდი ბიზნესის“ დასაწყისი.



— ეს მე არა ვარ,
ჩემი ალჟირელი კოლეგაა.

სულ ახლახანს ალჟირში მომიხდა მოგზაურობა.

ამ მიწაზე 132 წლის განმავლობაში ბატონობდნენ ფრანგი კოლონიზატორები, მხოლოდ 1962 წელს შეძლეს ალჟირელებმა კოლონიზატორების გაძევება და ქვეყნის მართვა ისე, როგორც ეს ალჟირელ ხალხს სურდა.

ალჟირში კანონით აიკრძალა მრავალცოლიანობა; მრავალშვილიანობას კი ფართო გასაქანი აქვს. ჩვენს მძღოლს სალემს, რომელიც 38 წლისაა, ჰყავს 8 შვილი, მათგან მხოლოდ ორი სწავლობს სკოლაში, დანარჩენები კი დედას ეხმარებიან შინ; სკოლაში ვერ დადიან, რადგან მიუხედავად მთავრობის დადგენილებისა აუცილებელ საყოველთაო განათლების თაობაზე, ქვეყანას არ ჰყოფნის მასწავლებლები და სასკოლო შენობები; ალჟირში 1962 წლამდე არ იყო არც ერთი ალჟირელი უმაღლესი ტექნიკური განათლებით; ამიტომ არის, რომ აქ ნახავთ მრავალი ქვეყნის სპეციალისტებს, რომლებიც აშენებენ სატრაქტორო ქარხანას. მათ შორის არიან საბჭოთა სპეციალისტები, კერძოდ ქართველი გეოლოგები, რომლებიც ეხმარებიან ალჟირელებს ნავთობისა და გაზის საბადოების ძიების დროს.

ალჟირში 9 დღის განმავლობაში გავიარეთ 2500 კილომეტრი, ვნახეთ საჰარის უდაბნო და რამდენიმე ქალაქი; ჩემი მუდმივი თანამგზავრის—ფოტოაპარატის საშუალებით გადავიღე მრავალი ფოტო, რამდენიმე მათგანს აქვე გთავაზობთ.

ოთარ თურქია.

ავტობუსის მოლოდინი კოლექტიურად და ინდივიდუალურად.





სპორტული კლუბი „დროშა“ სკ

**ჩვენს რედაქციასთან დაარსდა სპორტული კლუბი „დროშა“. ამ კლუბის წევრად მიიღება სპორტის ყველა ნამდვილი გულშემატკივარი. წევრებს შემდეგი პრივილეგიები ექნებათ: ისინი უფრო ახლოს გაეცნობიან ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს, გაიგებენ მათს საინტერესო გამოსვლებზე შინ თუ უცხოეთში, კლუბში თვითონ სპორტსმენები მოგვითხრობენ თავიანთი სპორტული ბიოგრაფიის სამახსოვრო ეპიზოდებს, გაგვაცნობენ თავის ამხანაგებს, ზოგჯერ იხუმრებენ კიდეც.**

**კლუბის წევრად გახდომა ძალიან ადვილია. თვეში ერთხელ „სოიუზპეჩატის“ უახლოეს კიოსკში შეიძინეთ „დროშის“ ახალი ნომერი. თქვენ უკვე კლუბის წევრი იქნებით. კიდევ უკეთესი, თუ გამოიწერთ ჟურნალს, სპორტული კლუბი თავისი ფეხით მოგადგებათ შინ.**

**კლუბის საზეიმო გახსნა შედგება დღეს — სიტყვას ვაძლევთ სახელგანთქმულ ქართველ ფეხბურთელს სლავა მეტრეველს.**

# შტრიხები ბიოგრაფიისათვის

მე ახლა ვესაუბრები სპორტსმენს, რომელსაც იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ყველგან, სადაც ფეხბურთი უყვართ და აინტერესებთ.

ენციკლოპედიური ხასიათის წიგნში, რომელიც გამოვიდა სერიაში „ყველაფერი ფეხბურთზე“ და რომელსაც ეწოდება — „ფეხბურთელები, მწვრთნელები, მსაჯები“, ამ სახელგანთქმულ სპორტსმენზე ნათქვამია:

„სლავა კალისტრატეს ძე მეტრეველი, დაიბადა 1936 წელს. ფეხბურთმა ბავშვობიდანვე გაიტაცა. 1952 წელს თამაშობდა ქ. სოჭის ბავშვთა გუნდებში. 1955 წელს გორკის „ტორპედოში“ გამოდიოდა, შემდეგ კი — მოსკოვის „ტორპედოს“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებში. საბჭოთა კავშირის პირველობაზე 368 მატჩში მიიღო მონაწილეობა და გაიტანა 96 ბურთი. იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 1960 და 1964 წლებში. რვაჯერ შედიოდა 33 უძლიერესი ფეხბურთელის სიაში, აქედან შვიდჯერ — პირველ ნომრად. 48-ჯერ გამოვიდა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, გაიტანა 11 გოლი; იყო იმ გუნდის წევრი, რომელმაც ევროპის პირველი თასი მოიპოვა. 1968 წელს ითამაშა მსოფლიო ნაკრებში, ბრაზილიის ნაკრების წინაამდეგ. სპორტის დამსახურებული ოსტატია, 1966 წელს დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის“ ორდენით“.

ასეთია ოფიციალური ცნობა. მაგრამ აქ ხომ შეუძლებელი იყო ყველაფრის თქმა. როგორია ამ გამოჩენილი სპორტსმენის ინტერესები? რას ფიქრობს იგი სპორტზე და თავის პარტნიორებზე? გარდა ფეხბურთისა, რა იტაცებს მას?

ამ კითხვებზე პასუხისათვის მივედი სლავა მეტრეველთან.

**— მითხარი, სლავა, რა იყო შენი ბავშვობის ოცნება, რა გინდოდა გამოსულიყავი?**

— მფრინავი, მფრინავი-გამანადგურებელი. მაშინ კოსმონავტები ჯერ არ იყვნენ.

**— ყველაზე ძლიერ რომელი პროფესია მოგწონს?**

— ჩათვალე, რომ ამაზე უკვე გიპასუხე.

**— შენ ვაჟიშვილი გეზრდება. რა გზას აურჩევ ცხოვრებაში?**

— ბიჭი ჯერ მეთორმეტეშია, მოასწრებს გზის არჩევას. თუ ფეხბურთი გაიტაცებს, ხელს არ შევუშლი, ოღონდ ქართული ანდაზა უნდა გაამართლოს— ის ურჩევნია მამულსა...

**— გაქვს რაიმე გატაცება, როგორც ამბობენ, ჰობი?**

— მუსიკა მიყვარს, განსაკუთრებით საესტრადო, ვაგროვებ ჩანაწერებს მაგნიტოფონზე და ფირფიტებს.

**— ბევრ სპორტსმენს ამოჩემებული აქვს რაიმე, მისი აზრით იღბლიანი საგანი, მაგალითად, მეკარეს—კეპი ან ხელთათმანი — კარგადა მაქვს დაცდილიო, და სჯერა, რომ უიმისოდ უთუოდ წააგებს. შენ არა გაქვს დაცდილი არაფერი?**

— არა, არა მაქვს და არც მჯერა ეგ, თუმცა ყველა გუნდში წააწყდები სპორტსმენს, რომელსაც ვერაფრით გადაარწმუნებ, რომ ეს ასე არ არის. ეს ჩვეულებები, ცოტა არ იყოს, ცრუმორწმუნეობას ჩამოჰგავს.

**— კვირის რომელი დღე, რომელი თვე ან წელიწადის რომელი დრო გიყვარს ყველაზე ძალიან?**

— დღეს ვერ დავასახელებ, ჩვენთვის ხომ არც შაბათია, არც კვირა. თვე კი შემიძლია გითხრა — დეკემბერი — შვებულების დრო. თუმცა, როგორც წესი, ოჯახს ამით არავითარი შეღავათი არა აქვს. მარტო კი არ უნდა დავისვენო, ვიმკურნალო კიდევაც.

**— მთელი ქვეყანა მოვლილი გაქვს. რომელი ქალაქი მოგწონს ყველაზე მეტად?**

— სოჭი. იქ ცხოვრობენ დედა, მამა. იქ ბევრი მეგობარი მყავს.

**— რამდენ ქვეყანაში ხარ ნამყოფი?**

— უფრო ადვილია გითხრა, თუ სად არ ვყოფილვარ: იაპონიაში და ავსტრალიაში. ვნახე ევროპის ყველა ქვეყანა, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკა, აზიისა და აფრიკის მრავალი ქვეყანა.

**— გაიხსენე ყველაზე უცნაური შემთხვევა ამ მოგზაურობის დროს.**

— მახსოვს, საბჭოთა კავშირის ნაკრები ტურნეს ატარებდა სამხრეთ ამერიკაში. ჩავფრინდით ეკვადორში, თითქმის უმეტესობას ხელთ ბალალაიკები გვეჭირა. ისინი, როგორც სუვენირები, მასპინძლებისათვის უნდა გადაგვეცა. აეროპორტში ერთი უცხო კაცი მომიახლოვდა და დაიწყო წრიალი ჩემს გარშემო, მერე ბალალაიკა გამომართვა, დგას და ატრიალებს ხელში. ის იყო შევბრუნდი, ვიღაცას გაველაპარაკე, რომ უცნობი მოსწყდა ადგილს და გაიქცა, საკრავი თან წაიღო. ხომ არ გავედევნებოდით, ჩვენ ხელი ჩავიქნიეთ, მაგრამ პოლიციამ თავის მოვალეობად ჩათვალა დაეკავებინა დამნაშავე. დაეწია და მოიყვანა ჩვენთან. გამოირკვა, რომ თურმე მძარცველი კი არა, რუსი ემიგრანტი იყო, მრავალი წელი არ ენახა თანამემამულენი და არც ეს ბავშვობიდან ნაცნობი საყვარელი ინსტრუმენტი. მახსოვს, ვაჩუქეთ ბალალაიკა. სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა.

**— გაიხსენე ყველაზე სასიხარულო ამბავი შენი ცხოვრებიდან. დაკავშირებულია თუ არა იგი სპორტთან?**

— ჩვენი გამარჯვება ევროპის თასისათვის ბრძოლაში 1960 წელს.

**— ყველაზე დიდი გულდაწყვეტა?**

— ესეც, სამწუხაროდ, სპორტმა მომიტანა. მსოფლიოს ორ უკანასკნელ ჩემპიონატში ვიყავი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და თითქმის არ გამოვსულვარ მოედანზე.

**— ჩვენ უნებურად ისევ ფეხბურთს დავუბრუნდით. მაგრამ ვიდრე მას შევეხებოდეთ, მიპასუხე — ფეხბურთის გარდა, სპორტის რომელი სახე გიყვარს?**

— ჰოკეი, მე თვითონ ვთამაშობდი მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდში. ახლა შემთხვევას არ ვკარგავ ვნახო ჰოკეის კარგი მატჩი, მაგრამ ტელევიზორით არა, ეკრანზე ეს თამაში ძალიან ბევრს ჰკარგავს.

**— დაასახელე შენთვის ყველაზე ძნელი მატჩი?**

— შეხვედრა არგენტინის ნაკრებთან, 1961 წლის

**ინტერვიუს აღება შეიძლება ბილიარდის თამაშის დროსაც კი.**





ეროვნული ბიბლიოთეკა



**დიღომი. საწვრთნელი ბაზა. რაზე შეიძლება ილაპარაკონ აქ მიხეილ ბერძენიშვილმა და სლავა მეტრეველმა? ალბათ, თერთმეტმეტრიანზე...**

ნოემბერში. არგენტინელებს თავიანთ მოედანზე ოცდაათი წელი არ წაეგოთ. ჩვენ კი იქ სტამბოლიდან ჩავედით, ფრთაშესხმულები ვიყავით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების წარმატებით დამთავრების გამო. გავიმარჯვეთ კიდეც, მაგრამ ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა ხდებოდა სტადიონზე — სროლა, ღრიალი, უწესრიგობა. მართალი გითხრათ, თავდაპირველად მოედანზე გამოსვლისას, ცოტათი შევშინდით. მაგრამ მატჩის შემდეგ, რაოდენი ბედნიერი წუთი განვიცადეთ მე და ჩემმა ამხანაგებმა. მთელი გზა სასტუმრომდე მიგვაცილებდა ალტაცებული არგენტინელი მაყურებლების ტაში და ჟრიამული.

**— რას განიცდი გუნდის დამარცხების შემდეგ?**

— ვცდილობ განმარტოებას. დავდივარ გაჯავრებული, რასაკვირველია, ყველაზე მეტი ისევ შინაურებს ხვდებათ. იმ ღამით, როგორც წესი არ მძინავს.

**— გამარჯვების შემდეგ?**

— განვიცდი რაღაც სასიხარულო დაღლას და აღარც ხალხს გავურბივარ.

**— ამ შეკითხვას კი, ჩვეულებრივ ცნობილ სპორტსმენებსა და მსახიობებს აძლევენ ხოლმე. ხომ არ გაწუხებს ასეთი პოპულარობა?**

— ნუ იფიქრებ, თითქოს ეს უქმი კითხვა იყოს. ახალგაზრდა, დამწყებ ფეხბურთელს უხარია, როცა მას სცნობენ ქუჩაში, აღფრთოვანებულნი თვალს აყოლებენ. მაგრამ როდესაც ეს ამბავი გრძელდება ერთი და ორი დღე კი არა, ათეული წლები, გრძნობ, რომ იღლები, იქანცები, რომ შენი პოპულარობა რაღაც დამატებითი ტვირთივით გაწევს მხრებზე. ხანდახან გინდა განმარტოვდე და არ შეგიძლია. დასვენება ხომ კაცს მარტო ოთხკედელშუა კი არა, ქუჩაზეც გინდა, გარეთ, სადმე პარკში, ან თუნდაც, ვთქვათ, საკონცერტო დარბაზში.

**—ვინ არის შენთვის ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე?**

— ყველაზე მეტად გამიძნელდა ორთაბრძოლა მოსკოვის დინამოელ ბორის კუზნეცოვთან. მთელი მატჩი იმას ვფიქრობდი,, როგორ ავცდენოდი მას. უცხოელი დამცველებიდან მე ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ნოვაკი — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებიდან.

**— პარტნიორის რომელ თვისებას აფასებ ყველაზე მეტად?**

— ცხოვრებაში თავმდაბლობას, მოედანზე — იმის უნარს, რომ პირადული შესწირო გუნდის ინტერესებს.

**— პარტნიორის რა თვისება არ მოგწონს?**

— არაგულწრფელობა და სურვილი ითამაშო მაყურებლის გულისმოსაგებად.

**— შენს რეჟიმში რამდენი საათი უჭირავს სპორტს?**

— ხუთი-ექვსი საათი ყოველდღე. შვებულებაში ყოფნის დროსაც კი არანაკლებ ორი საათისა ვუთმობ ფიზიკურ ვარჯიშს.

**— წლების მანძილზე შეეჩვიე მღელვარებას მატჩის დაწყების წინ?**

— ვღელავ კვლავინდებურად, წლიდან წლამდე, მატჩიდან მატჩამდე იზრდება მომთხოვნელობა თავის თავის წინაშე და პასუხისმგებლობის გრძნობა. თუ სპორტსმენმა დაჰკარგა ეს თვისება, თამაშსაც თავი უნდა დაანებოს.

**— უცხოელი მეკარეებიდან რომელი მოგწონ-ბია ყველაზე ძალიან?**

— ინგლისელი ბენქსი.

**— ფეხბურთელთაგან ვინ იყო შენი იდეალი ბავშვობის წლებში?**

— სერგეი სოლოვიოვი, მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელი.

**— ვისი იმედი გაქვს იმ ახალგაზრდებიდან ჯერ ძირითად შემადგენლობაში რომ არ უთამაშიათ?**

— ორის. საბედნიეროდ, ორთავე თავდამსხმელია — ნოდარ ბაჩიაშვილი და ვოვა გუცაევი.

**— ვთქვათ, ერთ დღეს ქალაქში ორი ფეხბურთია. ერთში ვეტერანები თამაშობენ, მეორეში ბავშვები. რომელი მატჩის საყურებლად წახვიდოდი?**

—ბავშვების. იმათ თამაშის ცქერას რა სჯობს!

**— ჩვენშიაც რომ გავრცელდეს ქალების ფეხბურთი, წახვალ თუ არა საყურებლად?**

— სირბილით გავვარდები. რომელ მამაკაცს შეუძლია უარი თქვას ასეთ სანახაობაზე!

**— შენ ბევრს მოგზაურობ, სულ დაფრინავ. არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, რომელს ამჯობინებდი — მატარებელს თუ თვითმფრინავს?**

— არც ერთს. მანქანას, თუნდაც საჭესთან მომიხდეს ჯდომა.

**— კოკისპირულ წვიმაში გირჩევნია თამაში, თუ ორმოცგრადუსიან სიცხეში?**

— ყველას გრილი საღამო მირჩევნია. არჩევანზე თუ მიდგა საქმე, ისევ სიცხე სჯობია წვიმას.

**— ერთ მატჩს რომელ უცხოურ გუნდში ითამაშებდი, ბრაზილიის თუ ინგლისის ნაკრებში?**

— მხოლოდ და მხოლოდ ბრაზილიის.

**— დავუშვათ დაგავალეს რაიმე ცვლილების შეტანა თამაშის წესებში, რას იზამდი?**

— რაიმეს მოვიგონებდი ისეთს... რომ მსაჯის გარეშე როგორმე იოლად გავსულიყავით.

**— წარმოიდგინე შენი თავი ჩემს ადგილზე, ვთქვათ, შენ ხარ ჟურნალისტი, რას ჰკითხავდი სლავა მეტრეველს?**

— ასე შევეკითხებოდი — სლავა, კიდევ დიდხანს აპირებ თამაშს?

**— მართლაც... ადრე თუ გვიან დასტოვებ მოედანს, აპირებ მწვრთნელად მუშაობას?**

— უფრო არა, თუმცა, რა ვიცი, ვნახოთ, წინასწარ ძნელია თქმა.

**საუბარი ჩაიწერა ბ. აკოფოვმა.**

# ინტერვიუს იღებს მკითხველი

ასე ერქმევა „დროშის“ სპორტული კლუბის ერთ მუდმივ განყოფილებას. ამიერიდან ინტერვიუს ჩვენს გამოჩენილ სპორტსმენებთან აიღებენ თვით მკითხველები. ყველა იმ კითხვას, რომელიც მათ აინტერესებთ, მკითხველები რედაქციას გამოუგზავნიან. სასურველია მკითხველის სახელსა და გვართან ერთად ეწეროს მისი წლოვანება და პროფესიაც. საქმე ისაა, რომ შეკითხვების გამოქვეყნებისას რედაქცია აპირებს ამ მონაცემების დაბეჭდვასაც. თვითეულ მკითხველს შეუძლია გამოგზავნოს ერთი ან რამდენიმე კითხვა. შემდეგში რედაქციის მუშაკი ინახულებს სპორტსმენს და ამრიგად მოამზადებს პასუხს.

მაშ ასე, მიმართეთ ჩვენს გამოჩენილ სპორტსმენებს. თქვენ უთუოდ გაინტერესებთ, თუ რომელ ჩატარებულ მატჩებს მიიჩნევენ ისინი საუკეთესოდ, რას ფიქრობენ თავიანთ სპორტულ პროფესიაზე, გატაცებებზე, მწვრთნელებზე, კოლეგებზე. რა გეგმები აქვთ, რისკენ მიისწრაფვიან. რას უსურვებდნენ თვით მკითხველები ჩვენს სპორტსმენებს.

მიმართეთ ფეხბურთელებსა და მოჭადრაკეებს, ჩოგბურთელებსა და კალათბურთელებს, მოჭიდავეებსა და მოკრივეებს, ძალოსნებსა და მძლეოსნებს, მიმართეთ სპორტის ვეტერანებს, მწვრთნელებს, სპეციალისტებს, ყოფილ ჩემპიონებსა და ახალგაზრდა რეკორდსმენებს. მიმართეთ ყველას, ვინც უკვე მოიხადა თავისი ვალი ჩვენი სპორტის მიმართ, იმათაც, ვისგანაც ბევრს მოელის ჩვენი საზოგადოებრიობა.

განყოფილება „ინტერვიუს იღებს მკითხველი!“ ყოველთვიურია, იგი რედაქციის თანამშრომლებისა და მკითხველების ერთობლივი მუშაობის ნაყოფი იქნება.

ძვირფასო მკითხველებო, ველით თქვენს წერილებს!

# პროკურორის ჩანაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო ბურდულაძე

## ვინ არის უფრო ღირსეული

დილის ათი საათი სრულდებოდა. მთელი ღამის უძილო ვიყავ. სოფლიდან რომ მოვბრუნდი (იქ მკვლელობის საქმეს ვიძიებდით), შინ არც შემივლია, პირდაპირ ჩემი კაბინეტისაკენ გავეშურე, ვიჯექი და ფიქრით ისევ წუხანდელ საქმეს დავტრიალებდი.

ფიქრებიდან კაცის ხმამ გამომარკვია:

— შეიძლება? — ავიხედე. კართან ასე, ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი იდგა.

— დაბრძანდით!

დაჯდა, ვატყობ უჭირს ლაპარაკის დაწყება.

— მითხარი, რა გაგჭირვებია.

— ტალიაშვილი ვარ, სოფელ დაბალხევიდან. ცოლს გავცილდი და... — ისევ გაუწყდა სიტყვა.

— რატომ გასცილდით?

— ეჰ, — ჩაიქნია ხელი, — პირდაპირ გეტყვით ყველაფერს, — კი არ გავცილდი, გამექცა... გამექცა უსინდისოდ, უსიტყვოდ, წერილიც კი არ დამიტოვა, მეზობლისთვის დაებარებინა — ნულარ დამელოდებათ. მაგრამ მე ამის სათქმელად როდი მოვედი. ამ ამბავს დიდი ხანია შევურიგდი. რა ვქნა, არ ვუნდოდი და წავიდა. ახლა, იცით, რაზე გაწუხებთ, ჩემგან წასვლისას ექვსი თვის მერე გოგო შეეძინა. ბავშვი უდავოდ ჩემია... მაგრამ მოხდა უცნაური ამბავი — ბავშვი სადღაც გაქრა. სარწმუნოდ მითხრეს, რომ პაწია გოგო თვითონ იმ ქალბატონმა და მისმა დედამ მოახრჩვეს და სადღაც ჩაფლეს მიწაში.

—რას ამბობ, ბიჭო? დედა მაგას როგორ იზამდა? მაგას მხეციც არ სჩადის!..

— რა ვიცი, ასე მითხრეს და...

— წარმოუდგენელია... მაგრამ მაინც ვნახოთ... — ვუთხარი ერთი კვირის შემდეგ მოსულიყო. ტალიაშვილმა კარი რომ გაიხურა, დავრეკე, მდივანი ქალი შემოვიდა.

— ხვალ თორმეტი საათისათვის ქეთევან ტალიაშვილი გამოიძახეთ.

ქეთევანი მეზობელ რაიონში გადასულიყო საცხოვრებლად, მაინც შორს არ იყო. ამიტომ ზუსტად დანიშნულ დროს გამოცხადდა.

ახალგაზრდა იყო, ლამაზიც, ოდნავ შეშფოთებული ჩანდა, მაგრამ ცდილობდა მღელვარება დაეფარა.

— თქვენ ლევან ტალიაშვილის მეუღლე იყავით?

— დიახ.

— რა იყო თქვენი გაცილების მიზეზი?

ქალმა არ მიპასუხა, თავი ჩაღუნა.

— მიპასუხეთ, რატომ მიატოვეთ?

ისევ დუმილი.

— ცუდი კაცია, უხასიათო?

— არა, — ძლივს ამოიღო ქალმა ხმა.

— ალბათ, ბევრსა სვამს!

— არა.

— მაშ, რა მოხდა, რატომ მიატოვეთ?

— იცით, სხვა შემიყვარდა, გულს ვეღარ მოვერიე.

— და დაგავიწყდათ, რომ ქმარი გყავდათ?

— რა მექნა, პატივცემულო პროკურორო, ხომ ხდება ხოლმე ასეც, მე პირველი ხომ არა ვარ!

ოცი წლის ასაკში უკვე მეორეჯერ გათხოვება მოასწრო. თავის გასამართლებელი საბუთიც რომ მოუძებნია — მე ხომ პირველი არა ვარო. მაგრამ რა ვიცი, ეგებ მშობლებმა დაუგრიხეს ბედი, გაათხოვეს უსიყვარულოდ, მას კი მერე შეუყვარდა ნამდვილი, წმინდა სიყვარულით. შესაძლოა ასეც იყოს.

მაგრამ ახლა ეს აღარ მაწუხებს.

— სად არის თქვენი ბავშვი? — ვკითხე პირდაპირ.

გაფითრდა, თვალები აღარ იცის საით წაიღოს, ძლივს ამოიკვნესა.

— ბავშვი აღარა მყავს, უდღეო დაიბადა...

— სად მოიმშობიარეთ?

— იფნისხევის საავადმყოფოში.

— როდის?

— შარშან, თოთხმეტ აგვისტოს.

— ბავშვი სად გარდაიცვალა, საავადმყოფოში, თუ შინ?

— შინ, ჩემთან.

აღარაფერი ვუთხარი. ზარი დავრეკე. მდივანმა ქალმა თავი შემოყო.

— მილიციელი გამოიძახეთ...

ქალს სახეზე მიწისფერი დაედო, შემოსულ მილიციელს ვუთხარი — ამ ქალმა სამორიგეოში მოგიცადოს, როცა დაგირეკავთ, შემომიყვანეთ-მეთქი. მე კი წამოვდექი, მანქანა გამოვიძახე და ერთი საათის შემდეგ იფნისხევის საავადმყოფოში ვიყავი. მორიგე ექიმმა გადასინჯა საბუთები და მომცა ცნობა, რომ გასულ წელს, თოთხმეტ აგვისტოს ქეთევან ტალიაშვილს ეყოლა გოგონა, და რომ ბავშვი სრულიად ნორმალური დაიბადა.

დღის სამ საათზე ისევ რაიონის ცენტრში ვიყავ, შემოვაყვანინე ქეთო ტალიაშვილი. ამ სამიოდე საათში ქალი საგრძნობლად გამოცვლილიყო. თვალები უსიცოცხლოდ გამოიყურებოდნენ, ლოყები ჩასცვივნოდა, კაბინეტში რომ შემოვიდა, წაბარბაცდა და კინაღამ წაიქცა.

ისევ სკამი შევთავაზე, ცოტა ხანს დავუცადე, ეგებ ოდნავ მაინც დაწყნარდეს-მეთქი, მერე საავადმყოფოდან წამოღებული ცნობა მივაწოდე და დავუმატე: უნდა მითხრათ, სად არის ბავშვი.

ქალმა ცნობა წაიკითხა და მითხრა:

— მეორე ქმარმა სახლში რომ მიმიყვანა, გამოვუტყდი, რომ ფეხმძიმედ ვარ-მეთქი. მან მითხრა, ან ეგ ბავშვი მოიშორე, ან არა და გამეცალე, არ მინდიხარო. მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ გაგვეშვილებინა. მე და დედამ ერთად წავიყვანეთ თბილისში.

ქალი ატირდა, ისე მწარედ ქვითინებდა, ეტყობოდა, ნანობდა თავის საქციელს.

— გავაშვილეთ კარგ ოჯახში, ვიცი მისი მისამართიც, მაგრამ ვერ გეტყვით... დედობილი ჭკუაზე შეიშლება. მან ხომ ხანგრძლივ მივლინებაში მყოფ თავის ქმარს შეატყობინა — ბავშვი ჩემიაო, დიდხანს უშვილო იყო, იმ კაცმა რამე რომ გაიგოს...

— შევამოწმებთ ისე, რომ ქმარმა ვერაფერი გაიგოს...

ასეც მოხდა. მივავლინეთ ჩვენი თანამშრომელი თბილისში, რომელმაც ადგილზე შეამოწმა ყველაფერი და გაშვილების ოფიციალური დოკუმენტის პირიც წარმომიდგინა, თანაც გადმომცა თბილისელი ქალის მუდარა — ეს ამბავი რომ გახმაურდეს, თავს მოვიკლავო.

მეორე დღეს მე დავიბარე ლევანი, ყველაფერი ვუამბე და ვკითხე — ახლა რას ფიქრობთ-მეთქი. არაფერს, მე კმაყოფილი ვარო. მაშინ მივხვდი, რომ არც დედა და არც მამა იმ ბავშვის ღირსნი არ ყოფილან, ხოლო ბავშვს ნამდვილი დედა უპოვნია.

## ერთი კოლოფი სიგარეტი

თბილისში, პლეხანოვის პროსპექტზე იყო თამბაქოს ერთი პატარა მაღაზია. მე მაშინ ამ რაიონში გამომძიებლად ვმუშაობდი. ერთ დილას მოვარდა მაღაზიის გამგე-გამყიდველი სუზანა და ატეხა ტირილი — ჩემი მაღაზია გატეხესო. მილიციის მუშაკებთან ერთად უმალვე გავეშურეთ დანაშაულის ადგილზე. მაღაზია გატეხილი იყო ეზოს მხრიდან, კოჭაკისა და რაზის ამოძრობით. თავზარდაცემულმა სუზანამ უმალ დაიწყო საქონლის შემოწმება; გარდა თამბაქოს ნაწარმისა, მას ჰქონდა ძვირფასი სათუთუნეები, ჩიბუხები, მუნდშტუკები. ყველაფერი დათვალა, მაგრამ ვერაფერი მოინაკლისა. გულს მოეშვა.

ერთი ეს იყო, დახლზე შენიშნა 80 კაპიკი ვერცხლის ფული, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. სუზანამ თქვა — გუშინ საღამოს ინკასატორს ფული გავატანე ბანკში და ეს ხურდა ალბათ მაშინ დარჩაო.

ჩვენ დავასკვენით, რომ ბოროტმოქმედმა, რომელმაც მაღაზია გატეხა, ალბათ რაღაც ხმაური გაიგონა, შეშინდა, ხელი აიღო განზრახვაზე და გაიქცა. სუზანა'ა დავავალეთ შიდა კარის ურდული გაემაგრებინა და წავედით.

ეს წვრილმანი საქმე მეორე დღეს აღარც გვახსოვდა.

გავიდა სამი წელი, თბილისში, ჩემი ახლო მეგობრის ოჯახში ბავშვის დაბადების დღეობაზე ვიყავ მიწვეული. ვიდრე დიასახლისი სუფრას შლიდა, ვისხედით მასპინძლის კაბინეტში და დროს მოსაკლავად ათას რაღაცაზე ვსაუბრობდით. იმ დღეს გაზეთში დიდი წერილი იყო მოთავსებული — პაპიროსი კიბოს აჩენსო, და ალბათ ამიტომ ლაპარაკი ჩამოვარდა თამბაქოს მწეველებზე და იმაზე, თუ რა გზით შეიძლება კაცმა შეძლოს პაპიროსს გადაეჩვიოს.

დამსწრეთა შორის იყო ერთი ამჟამად საკმაოდ ცნობილი მეცნიერი მუშაკი, ავტორიტეტიანი და პატივსაცემი პიროვნება. მან თქვა:

— მე კი რამდენჯერ ვცადე, მაგრამ არაფერი გამოდის. განა არ ვიცი, რომ საწამლავია, მაგრამ ვერ მიმიტოვებია. საკვირველ ამბავს გეტყვით: ამ სამი წლის წინ, ზამთრის ერთ ღამეს დიდი სამუშაო მქონდა, დისერტაციასა ვწერდი. ღამის სამი საათი რომ გახდა, სიგარეტი გამომელია, გამოვვარდი გარეთ, მთელ პროსპექტზე სასადილოები და მაღაზიები დაკეტილი იყო. ვიღაც მთვრალი ბიჭები შემხვდნენ, იმათ თვითონ მომთხოვეს პაპიროსი და კინაღამ მცემეს — რატომ არა გაქვსო. აღგზნებული ვიყავი, არაფერი მესმოდა. დავრბოდი ასე გიჟივით ქუჩაში, ბოლოს დავბრუნდი შინ. გამახსენდა, რომ ჩემი ბინის ახ-

ლოს თამბაქოს მაღაზია იყო, იქ მე ხშირად ეზოდან შევდიოდი და ვიცოდი, როგორი უბრალო კარი ჰქონდა. ჩამოვიტანე გაზი, გამოვწიე კოჰაკი, ადვილად დამმორჩილდა, ავიღე ერთი კოლოფი სიგარეტი და იმისი ფასი — 30 კაპიკი იქვე დახლზე დავდე... მივხურე კარი, მაგრამ კოჰაკი ვეღარ შევუბნიე, ავედი ზევით და თამბაქო რომ მოვწიე, გონს მოვედი, მივხვდი, რომ დანაშაული ჩავიდინე...

ოთახში მყოფთ სიცილი აუტყდათ, მასპინძელი მე მომიბრუნდა და მითხრა:

— ხომ იყავი, ვანო, მაშინ, შეგეპყრო ეს ყაჩაღი.. აფსუს, რა პროცესი მოეწყობოდა!

— ხომ ვიყავი და იმ დილით მე გავსინჯე ის მაღაზია.

მეცნიერ-მუშაკმა გაოცებით შემომხედა.

— მაშ ეს თქვენ იყავით? დილით ფანჯრიდან ვხედავდი, მილიციიდან ხალხი რომ მოვიდა.

— დიახ, მეც იქ გახლდით.

— ახლა, ბატონო, შეარჩიეთ მუხლი და მიეცით კვალიფიკაცია ჩემს დანაშაულს, — მითხრა თანამოსაუბრემ.

— მობრძანდით, სუფრა გაშლილია! — გაისმა დიასახლისის ხმა, ყველა წამოიშალა.

## ოცდამეხუთე ტომი

დილით ადრე შემატყობინეს, რომ რაიონის ცენტრში უცნობმა ბოროტმოქმედებმა გატეხეს სასამართლოს შენობა.

უკვე კარგა ხანი იყო პროკურორად ვმუშაობდი, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ გამეგონა. გამიკვირდა, სასამართლოში რას უნდა დაეხარბოს ქურდი, რას წაიღებს!

მართალია, არის იქ რაღაც ქონება, როგორც მოწყობილობიდან, ისე ნივთმტკიცებათა სახით, მაგრამ დამნაშავეს არაფრისთვის ხელი არ ეხლო. გატაცებული იყო მხოლოდ თხუთმეტი განსახილველი და ათი განხილული სისხლის სამართლის საქმის ქაღალდები, აკინძული ოცდახუთ ტომად.

უცნობმა ბოროტმოქმედმა ისარგებლა იმით, რომ სასამართლოს დარაჯი შვებულებაში იყო, ხოლო შემცვლელს იმ ღამეს საკმაოდ მაგრად ვადაეკრა და ისე ჩასძინებოდა, თვითონაც რომ წაეყვანათ, ვერაფერს გაიგებდა.

საქმე არც ისე ძნელი გასახსნელი იყო — ცხადია, დოკუმენტების გატაცებით შეიძლებოდა დაინტერესებული ყოფილიყო მარტო ის, ვისი საქმეებიც იმ ხანებში უნდა გარჩეულიყო. ჩვენ უკვე ვადგენდით გეგმას, თუ როგორ ჩაგვეტარებინა ეს უბრალო ოპერაცია, როცა წითელწყაროს რაიონის მილიციიდან დარეკეს — უზუნდარაზე, ხევში მილიციელებმა რაიონის შემოვლის დროს რაღაც ქაღალდები იპოვნეს, გავსინჯეთ და თქვენი სასამართლოს საქმეები აღმოჩნდა, ჩამოდით და წაიღეთო.

უმალ ვაფრინეთ კაცი, ჩამოიტანეს ქაღალდები, გადასინჯვისა და სასამართლოს დავთრებთან შედარებისას გამოირკვა, რომ საქმეებს აკლდა ოცდამეხუთე ტომი. ეს საქმე ეხებოდა საკმაოდ მსხვილ გაფლანგვა-დატაცებას. პასუხისგებაში მიცემული იყო მაღაზიის გამგე, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებას წლების მანძილზე ძარცვავდა, ადგენდა ყალბ დოკუმენტებს და როგორღაც ფონს გადიოდა. ბოლოს, ხელი ჩასჭიდეს, ყველაფერი გაუგეს. და აი ახლა წაღებული იყო საბუღალტრო დოკუმენტები, რომელთა დაკარგვის შემთხვევაში ხელახლა აღდგენა, ან სამაგიეროს წარდგენა შეუძლებელი იყო, ერთი სიტყვით, აღარ იყო იურიდიული საფუძველი ბოროტმოქმედის დასასჯელად და განაჩენის გამოსატანად.

ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემული იყო სამი კაცი, მათ შორის მაღაზიის გამგე მირიან ქერეჰაშვილი. ის რატომღაც თავდებით იყო გამოშვებული. მირიანი ცხოვრობდა არა ჩვენს, არამედ იმ რაიონში, სადაც ხევში გადაყრილი ქაღალდები იპოვეს. მაგრამ საქმე ის იყო, მირიანს თავისი რაიონის სასამართლოსათვის აცილება მიეცა და საქმე გასარჩევად ჩვენ გადმოგვცეს.

ოპერატიული მუშაკები დაუყოვნებლივ გაეშურნენ ქერეჰაშვილის ბინისაკენ. ღამენათევსა და მოქანცულ მირიანს ჯერ ისევ ეძინა, როცა თავს წამოადგნენ, საქმეების ოცდამეხუთე ტომი ბალიშქვეშ ამოეღო, ხოლო მისსავე „ვოლგაში" ოპერ-მუშაკებმა იპოვეს ორი ცალი ტომარა, რომელიც სასამართლოს ეკუთვნოდა.

მძიმე დანაშაულს რომ ახალი დანაშაული დაუმატა, ცხადია, ქურდმა უფრო მეტი სასჯელი მიიღო.

# გრ. ხანძთელის პორტრეტის გამო

ამას წინათ ჩვენს პერიოდულ პრესაში, კერძოდ ჟურნალ „დროშის" ფურცლებზეც გამოქვეყნდა გრიგოლ ხანძთელის პორტრეტი, რომელსაც დართული ჰქონდა ბ. კანდელაკის მოკლე კომენტარები. ავტორი მიზნად ისახავდა გაეცნო მკითხველისათვის ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ამ უღირსშესანიშნავესი მოღვაწის, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ფუძემდებლის ცხოვრება.

სამწუხაროდ, კომენტარებში ზოგი რამ არაზუსტი და აშკარად მცდარია. ასე, მაგალითად, ბ. კანდელაკი წერს: „იქვე (გრიგოლ ხანძთელის მიერ აშენებულ ეკლესია-მონასტრებში) დარჩა ერთი ძველი ხელნაწერი ხანძთის ტაძრიდან გრიგოლის ცხოვრების შესახებ ფერადი მინიატიურით, რომელზეც გადმოხატულია გრიგოლ ხანძთელის ფრესკა ხანძთიდან: ეს ხელნაწერი ამჟამად იერუსალიმშია, საპატრიარქო ბიბლიოთეკაში". უსაფუძვლოა განცხადება, თითქოს ეს ერთი ძველი ხელნაწერი შეიცავდეს გრ. ხანძთელის ცხოვრებას, იგი არც მაინცდამაინც დიდ სიძველეს გვიჩვენებს: ქართულ პალეოგრაფიაში ის მე-18 საუკუნით არის დათარიღებული (იხ. ხელნაწ. აღწერილობა, S კოლექცია, V, ელ. მეტრეველის რედ., 1967, გვ. 17-28), არც ის ვიცით, რომ იგი მაინცდამაინც ხანძთის ტაძრიდან დარჩა. ამას გარდა, საიდან ჩანს, რომ ამ ხელნაწერში დაცულია ფერადი მინიატიურა, რომელზეც გადმოხატულია გრიგოლ ხანძთელის ფრესკა ხანძთიდან? ამავე ხელნაწერში ხომ გვხვდება სხვა ქართველ წმინდანთა და მოღვაწეთა ფერადი მინიატიურებიც. ნუთუ, ისინიც „ხანძთის ტაძრის ფრესკებიდან არის გადმოხატული?" ამასთან, რაც ყველაზე მთავარია, ეს ხელნაწერი ამჟამად დაცულია არა იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში, არამედ ჩვენთან, თბილისში კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (S—8269). აქ, კანდელაკს ერთმანეთში აერია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტის შემცველი იერუსალიმური მრავალთავი" (იერ. 2) და გრიგოლ ხანძთელის გვიანდელ მინიატიურიანი თბილისური ხელნაწერი.

ბ. კანდელაკი წერს, რომ „აღნიშნული ხელნაწერი პირველად 1902 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა იპოვა და მიუთითა ნიკო მარს ამის თაობაზეო". თუ აღნიშნული ხელნაწერი იერუსალიმში ინახება, როგორღა ნახავდა მას ექ. თაყაიშვილი, იგი ხომ არასდროს არ ყოფილა იერუსალიმში. იქ ნ. მარი იყო და მის გარდა, თავის დროზე, ნ. ჩუბინაშვილი, ალ. ცაგარელი და რ. ბლეიკი.

„იმჟამად (1902 წ.) ნიკო მარი წერდა შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებსო", — წერს ბ. კანდელაკი. როგორ დაწერდა მარი ამ დღიურებს 1902 წელს, როდესაც მან შავშეთ-კლარჯეთში მხოლოდ 1904 წელს (18 ივლისიდან 24 აგვისტომდე) იმოგზაურა? 1902 წელს ნ. მარი შავშეთ-კლარჯეთში კი არა, იერუსალიმში მოგზაურობდა!

ბ. კანდელაკი წერს, რომ გრიგოლ ხანძთელის „კალამს ეკუთვნის საწელიწადო იადგარი (მიმნების დიდი კრებული), სავედრებელნი, ქებაი კლარჯეთის უდაბნოთა და სხვა". დღევანდელ პირობებში, როცა ამ საკითხზე არსებობს ორი ურთიერთის მოპირისპირე შეხედულება, გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ასე გადაჭრით და კატეგორიულად ლაპარაკი შეუძლებელია.

ალბათ კორექტურული შეცდომაა ცნობა: „გრიგოლის გარდაცვალების თარიღად ადრე მიჩნეული იყო 816 წელი". უნდა იყოს 861 წელი! მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ კანდელაკის შემდეგი მსჯელობა. „პავლე ინგოროყვამ თავის ნაშრომში „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მე-10 საუკუნისა" გაარკვია, რომ გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 860 წელს. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, მისი გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ (951 წ.), მისი მოწაფეების დახმარებით, აღწერა მწერალმა გიორგი მერჩულემ". თუ კანდელაკისთვის, ერთ შემთხვევაში, მისაღებია პ. ინგოროყვას ანგარიში გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების ახალი თარიღისა (860 წელი, წინაალმდეგ 861 წლისა), მაშინ რაღა მოტივით არ აღიარებს იმავე მკვლევარის მტკიცებას „ცხოვრების" დაწერის თარიღად 951 წლის ნაცვლად, 950 წლის მიჩნევისათვის!?

ბ. კანდელაკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ გრიგოლ ხანძთელის პორტრეტი ძვირფასი დოკუმენტია ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. მაგრამ საჭირო იყო კომენტარის შედგენის დროს ავტორს გაეთვალისწინებია ყველაფერი, რაც ჩვენმა მეცნიერებამ უკვე იცის ამ საკითხებზე.

გურამ შარაძე



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბ... თეკა

# ჭრელ-ჭრელი ამბები



## რომის პაპი და აქციები

ოდესღაც, საფრანგეთის მეფის ნაპოლეონ III ცოლმა თავისი ცოდვების მოსანანიებლად პაპ პიუს IX-ს სუეცის არხის კომპანიის ათასი აქცია აჩუქა. ეს აქციები დიდ ხანს იყო ვატიკანის სეიფში ჩაკეტილი. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მორიგმა პაპმა გადაწყვიტა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან აქციების გაცვლა-გამოცვლა მოეხდინა. პაპს, თითქოს გულმა უგრძნო — სუეცის არხის უძვირფასესი აქციები ნავთობის მსხვილი კომპანიის „სტანდარტ-ოილის“ აქციებზე გაცვალა.

გავიდა რამდენიმე წელი, სუეცის არხი მისი კანონიერი მფლობელის — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელში გადავიდა და აქციების მეპატრონე მონოპოლისტები პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ.

ახე აჯობა ჭკუით „ქრისტეს მოადგილემ“ ამერიკელ ფინანსისტებს.



## ბრილიანტებიანი შარვალი

ვინ მოთვლის რა ხერხებს არ მიმართავდნენ სამეფო კარის ირგვლივ თავმოყრილი დიდებულები, რომ თავი გამოეჩინათ და თავიანთი ზღაპრული სიმდიდრე საქვეყნოდ გამოემზეურებინათ. ასე, მაგალითად, 1711 წელს თავადმა გაგარინმა გადაწყვიტა მთელი ქვეყანა გაეოცებინა თავის სიმდიდრით. მისი ბრძანებით დაამზადეს კარეტა, რომელიც ძვირფასი უცხოური აბრეშუმით იყო მორთული. კარეტის თვლები ვერცხლით იყო მოჭედილი, ხოლო კარეტაში შებმული რვა ცხენი ოქროს ნალებით დაჭედილი.

კიდევ უფრო შორს წავიდა ეკატერინე მეორის „გულის რჩეული“ თავადი გრიგოლ ორლოვი. მან შეაკერინა შარვალი, რომელიც ერთი მილიონი მანეთი დაჯდა. ეს საპარადო შარვალი შემკული იყო მსხვილი ბრილიანტებით.



## რამდენს იწონიდა მანეთიანი

როგორც ცნობილია, ვერცხლი რამდენჯერმე უფრო ძვირია სპილენძზე. სპილენძის მონეტა რომ ვერცხლის ფულის ტოლფასოვანი ყოფილიყო, იგი ძალიან დიდი და მძიმე უნდა ჩამოესხათ.

რაკიდა იმ დროის რუსეთში ცოტა იყო ვერცხლი, ეკატერინე პირველმა (1684-1727) გადაწყვიტა, ლითონის ფული სპილენძისაგან ჩამოესხათ. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ სპილენძის ასეთი მანეთიანი წონით ერთი კილო და ექვსასი გრამი უნდა ყოფილიყო.

დედოფლის ბრძანებით ზარაფხანებში დაიწყეს სპილენძის მანეთების ჩამოსხმა. ეს იყო ოცი სანტიმეტრი სიგრძისა და ოცი სანტიმეტრი სიგანის ლითონის ოთხკუთხედი ფილები, რომლებზეც ამოტვიფრული იყო სახელმწიფო ღერბი. მანეთიანის გარდა, გამოუშვეს ათშაურიანები, ხუთშაურიასები და ორშაურიანები.

1748 წელს, როდესაც იმპერატრიცა ელიზავეტამ ლომონოსოვი მის მიერ დაწერილი ოდისათვის ორი ათასი მანეთით დააჯილდოვა, ეს ფული ორი ფურგუნით მიჰქონდათ: ყოველი ათი მანეთი ერთ ფუთს იწონიდა.




## დაგირავებული მეფე

როგორც კი პარიზის ქუჩებში მეფე ჰენრიხ III გამოჩნდებოდა, მას მაშინვე მევალეები შემოეხვეოდნენ ხოლმე გარშემო. მათ შორის ცოტა როდი იყვნენ მევახშეები. ისინი არცხვენდნენ მეფეს, უყვიროდნენ, მუშტებს უქნევდნენ. მეფე აინუნშიაც არ იგდებდა მევალეებს. პირიქით, დასცინოდა კიდეც მათ. „ბატონებო! — მიმართავდა გაკოტრებული მეფე ბრბოს, — გამოიჩინეთ გულმოწყალეობა და ყვირილის ნაცვლად კიდევ მასესხეთ ცოტაოდენი ფული“.

საფრანგეთის მეფე კარლოს VII დაუფიქრებლად ფანტავდა ფულს ძვირფასი ქსოვილების, სხვადასხვა მორთულობებისა თუ ოქროს იარაღის შესაძენად. როდესაც მთელი სალარო გაანიავა, მეფემ მევახშეებთან დაიწყო სირბილი და არც თავისი მზარეულებიდან წვრილ-წვრილი თანხების სესხებას ერიდებოდა.

მთლიანად გაკოტრდა იტალიის მეფე ფრიდრიხ II. იგი იძულებული გახდა სამეფო ტახტი დაეგირავებინა.

ყველას მაინც ინგლისის მეფე ედუარდ III გადააჭარბა. იგი ისე განიცდიდა უსახსრობას, რომ იძულებული იყო დაეგირავებინა... საკუთარი თავი. ედუარდ III ცოტა ხანს ცხოვრობდა ბრიუსელში, მაგრამ ისე გაეხვია ვალებში, რომ სპეციალური თხოვნით მიმართა პარლამენტს. მეფე მოითხოვდა, სახელმწიფოს დაუყოვნებლივ დაეფარა მისი ვალები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეფე იმუქრებოდა, რომ ბრიუსელში დავბრუნდები და გირაოდ დავრჩები ჩემს მევალეებთანო.



## გაყიდული მიწა

1867 წელს რუსეთის მეფემ ამერიკელებს 7.200.000 დოლარად (11 მილიონი მანეთი ოქროთი) მიჰყიდა ალიასკა. ეს იყო ჩრდილოეთ ამერიკის მატერიკზე მდებარე ტერიტორია, რომელიც თავის დროზე რუსმა მოგზაურებმა აღმოაჩინეს.

უბადრუკი მეფე ფიქრობდა, რომ ალიასკა თავისი მწირი ნიადაგებითა და უაღრესად მკაცრი კლიმატით, ყოველმხრივ გამოუსადეგარი მხარე იყო. მაგრამ აი, გავიდა რამდენიმე წელი და XIX საუკუნის ბოლოს ალიასკაზე ოქროს უმდიდრესი საბადოები აღმოაჩინეს. იმის ნათელსაყოფად თუ როგორ მწარედ მოტყუვდა მეფე, საკმარისია ვთქვათ, რომ მარტო ორმოცდაათი წლის მანძილზე ალიასკაზე 1 მილიარდი მანეთის ოქრო მოიპოვეს.


გარეკანის პირველ გვერდზე: ნანი ბრეგვაძე. ფოტო თ. არჩვაძისა.
მეოთხე გვერდზე: მწყემსი ბიჭი. ფოტო ო. თურქიასი.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჭაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/II-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/II-71 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2.
პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,41. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 427. უე 01928.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.




ჩაის სახლი მუდამ სავსეა ხალხით. როცა ფოტოკორესპონდენტმა ეს სურათები გადაიღო, აქ სტუმრად იყვნენ კოსმონავტი გიორგი შონინი და აკად. ავლიპ ზურაბაშვილი, ჟურნალისტი მიხეილ დავითაშვილი და მსახიობები ცეცილია თაყაიშვილი და ჯულიეტა ვაშაყმაძე. ჩაის სახლში ხშირად შეხვდებით უცხოელ ტურისტებსაც და მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ სტუმრებსაც. ყველას გულთბილად ეგებება ჩაის სახლის დირექტორი თამარ გვანცელაძე.


ეროვნული ბიბლიოთეკა











ეროვნული
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056